

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ანი ეცადაშვილი

ერთიანი კავკასიის იდეა - გიორგი სოსიაშვილის რომანში „გოდების კედელი“

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე,  
ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი ხორბალაძე  
ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

გორი 2021

## ანოტაცია

ნაშრომში, „ერთიანი კავკასიის იდეა - გიორგი სოსიაშვილის რომანში გოდების კედელი“, განხილულია თანამედროვე ქართველი მწერლის, გიორგი სოსიაშვილის რომანის ერთ-ერთი მთავარი ხაზი (კავკასიის ერთიანობა - როგორც ბუნებრივი მოცემულობა, მიუხედავად სახელმწიფოებრივი და ეთნიკური განსხვავებულობისა), რომანი სულ რაღაც წელიწადისა და რამდენიმე თვის წინ გამოქვეყნდა და მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ მალევე დაიწერა არაერთი რეცენზია ავტორიტეტულ მკვლევართა მიერ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს რომანი საფუძვლიანად და კომპლექსურად დღემდე არ ყოფილა შესწავლილი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ რომანი ორტომეულია და სხვადასხვა დროს სხვადასხვა ლიტერატურათმცოდნეთა მხრიდან, იგი შეფასდა დილოგიადაც და ტრილოგიადაც; ამასთან, ნაწარმოები არაერთ საინტერესო თემატიკას მოიცავს და აერთიანებს, ხოლო, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ რომანის კვლევა საკმაოდ ვრცელი სამუშაო იქნება და მისი კვლევის პერსპექტივების სრული ამოწურვა, რამდენიმე კვლევის ან, თუნდაც, სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სრულიად წარმოუდგენლად მიგვაჩნია. ამიტომ ჩვენი ნაშრომი კონცენტრირდება რომანის ერთ კონკრეტულ ასპექტზე, რაც მის ერთ-ერთ მთავარ იდეას უკავშირდება, კერძოდ, ავტორი, რომანში ქართულ-რუსული კონფლიქტის ფონზე გამოკვეთს და აშუქებს პრობლემის ფართოპლანიან რაკურსს - კავკასიელი ხალხის საერთო გამოწვევებს, პრობლემებს გადაჭრის გზების ძიებაში ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინების მნიშვნელობასა და პარტნიორობის ფასეულობას.

ამდენად, ჩვენს კვლევას რამდენიმე მიზანი გააჩნია, ერთი, ეს არის გარკვეული წვლილის შეტანა მიმდინარე ლიტერატურული პროცესების კვლევის საკითხში - თანამედროვე ქართველი ავტორის, ყველაზე ვრცელი ნაწარმოების კომპლექსური კვლევის საშუალებით; მეორეა - თანამედროვე, ფართომამუშაბიანი გამოწვევების ლიტერატურული რეფლექსიის გამოკვეთა რომანის მაგალითზე, ისტორიული პერიპეტეების გათვალისწინებით; ხოლო მესამე მიზნად გვესახება - კონკრეტული

იდვის (ერთიანი კავკასია) რომანისეული ანალიზი სხვა ისტორიულ და ლიტერატურულ ტექსტებთან პარალელური კვლევის საშუალებით.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ კვლევისათვის შერჩეული საკითხი შესასწავლად არის ძალზედ საინტერესო, აქტუალური და ამასთან, მნიშვნელოვანი სიახლის შემცველი.

Etsadashvili.A

#### Annotation

In the work, „the idea of a united Caucasus - in Giorgi Sosiashvili's novel a wall of mourning” discusses one of the main lines of a novel of the contemporary Georgian writer Giorgi Sosiashvili (Caucasus unity as a natural fact, despite state and ethnic differences), a novel has been published just a year and a few months ago, a number of reviews have been written about it soon by authoritative scholars, but it can be boldly said that this novel has not been thoroughly and comprehensively studied to date. In addition, it is noteworthy that the novel is two-volume and at various times by different literary critics, it has been evaluated as both a dialogue and a trilogy; However, the work covers and combines a number of interesting topics, and, taking into account all this, it becomes clear that the study of the novel will be quite extensive work and the complete exhaustion of its research perspectives, within a few studies or even a master's thesis, is completely unthinkable. Therefore, our work focuses on one specific aspect of the novel, which is related to one of its main ideas, namely, in the background of the Georgian-Russian conflict, the author outlines and covers a broad perspective of the problem - the common challenges of the Caucasian people, the importance of considering each other's interests in finding solutions to problems and the value of partnership.

Thus, our research has several purposes, one of which is to make a certain contribution to the research of current literary processes - through a complex research of the most extensive work of the modern Georgian author; The second is to highlight the literary reflection of modern, large-scale challenges on the example of the novel, taking into account historical vicissitudes; And the third goal is the novel analysis of a specific idea (United Caucasus) through parallel research with other historical and literary texts.

Therefore, we believe that the subject we have chosen for the research is very interesting, topical and at the same time, containing important news.

## სარჩევი

შესავალი.....	6
ზოგადი დახასიათება:.....	6
სიახლე.....	8
აქტუალობა.....	10
კვლევის მიზნები:.....	11
კვლევის მეთოდები:.....	13
თავი I. საკითხის შესწავლის ისტორიიდან.....	13
თავი II. მთავარი ფაბულა „გოდების კედელში”.....	19
1. რომანის სიუჟეტური ქარგა და კავკასია.....	19
2. ავტორის იდეური მრწამსი რომანის მიხედვით.....	26
თავი III. რომანი და ისტორია.....	34
1. რომანის იდეა და ისტორიულ პერიპეტეები.....	34
2. ერთიანი კავკასიის იდეის გააზრება რომანში.....	43
თავი IV. საერთო ინტერესები მტრობასა და მეგობრობაში.....	52
1. ქართველებისა და ოსების საერთო გამოწვევები რომანის მიხედვით.....	52
2. ქართველებისა და ჩეჩნების საერთო გამოწვევები რომანის მიხედვით.....	57
დასკვნა.....	64
ლიტერატურა.....	65

## შესავალი

### ზოგადი დახასიათება:

ნაშრომში, „ერთიანი კავკასიის იდეა - გიორგი სოსიაშვილის რომანში „გოდების კედელი“, კონკრეტული რაკურსით არის განხილული თანამედროვე ქართველი მწერლის - გიორგი სოსიაშვილის ახალი რომანი „გოდების კედელი“, რომელსაც, წიგნის რედაქტორმა, ლიტერატურათმცოდნე თამარ გელიტაშვილმა „ტკივილისა და რწმენის კავკასიური საგა“ უწოდა. „კავკასია უძველეს ცივილიზაციათა სამშობლოა. ჩვენამდე მღწეულია წყაროების მიხედვით, ტერმინი „კავკასია“ პირველად გვხვდება ცნობილი ბერძენი დრამატურგის ესქილეს (525-456 წწ. ძვ.წ.) ტრაგედიაში „მიჯაჭვული პრომეთე“. კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული პრომეთე ითვლება სიმბოლოდ ამაყი და დაუმორჩილებელი ადამიანისა, რომელიც მიზნის მისაღწევად დიდ საფრთეს არ გაურბის. საგულისხმოა, რომ სწორედ პრომეთე მიუსადაგეს ძველმა ბერძნებმა კავკასიელი ხალხების ხასიათს.

კავკასიელმა ერებმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში, არაერთი უმნიშვნელოვანესი მატერიალური თუ სულიერი ძეგლითა და ნიმუშით გაამდიდრეს იგი.

კავკასიელ ხალხთა კულტურა გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და თვითმყოფადობით. ამ ხალხებს ბევრი აქვთ საერთოც და ორიგინალურიც“<sup>1</sup>

„გოდების კედელი“ საკმაოდ სქელტანიანი რომანია და ორტომეულის სახით წარსდგა მკითხველის წინაშე. ორივე ტომს, გარეკანზე, მინაწერების სახით ახლავს მკვლევართა მოსაზრებანი ავტორისა და ნაწარმოების შესახებ; პირველი ტომის პირველივე მინაწერში კი ვკითხულობთ: „გოდების კედელი“ - ნაწარმოები, რომელმაც, წესით, არც ერთი მკითხველი გულგრილი არ უნდა დატოვოს, რამდენადაც იგი რეალისტური სიუჟეტების მხატვრულ სივრცეში ტრანსფორმაციით, პრობლემებისადმი წვდომის ფილოსოფიური გააზრებითა და დინამიური თხრობის

<sup>1</sup> Алексаидр Русецкий, Ольга Дорохина. Архипелаг Кавказ – мифы и реал – политик, Тб., 2009, გვ.15.

მანერით ხატავს ეპოქის სურათს, რომელშიც, ჩვენი ქვეყნის სვე-ბედის პარალელურად, მრავალფეროვანი და თვითმყოფადი კავკასიელი ხალხის საერთო ტკივილიც იძერწება“; ეს მკვლევარ გიორგი ხორბალაძის მოსაზრებაა და აშკარაა, რომ იმავე კონტექსტში განიხილავს ნაწარმოებს, რა კუთხითაც ჩვენი კვლევა იღებს გეზს. შემდგომი შეფასება ლიტერატურათმცოდნე ანა იმნაძეს ეკუთვნის, რომელიც აღნიშნავს: „გოდების კედელი“ - რომანი, რომელიც კავკასიის სიკვდილებს ენარცხება და ლატისა და პატიების მარადიული პრობლემით, გოდებით, რომელიც აკავშირებს ქართველების, ქისტების, ოსების, ებრაელების ძმობას. დუისისა და ბარწას ტყეებში იბადებოდა მომავალი რომანის ფაბულა“. მეორე ტომის მინაწერში კი იოსებ ჭუმბურიძე წერს: „რომანმა-დილოგიამ მთელი კავკასია მოიცვა. „და ეს ფიქრია მთელი კავკასიის თავისუფლება“... კავკასიონია ჩვენი „გოდების კედელი“ - ვფიქრობ ასეც უნდა გაიშიფროს რომანის სათაური - მეტაფორა და არა მხოლოდ პირდაპირი გაგებით“.

მკვლევართა ამ შეფასებებმა და იმ განწყობის თანხვედრამ, რომელიც თავადაც გაგვიჩნდა რომანის კითხვის პროცესში, მოგვცა ბიძგი, სამაგისტრო ნაშრომი შეგვესრულებინა ამ მიმართულებით, მით უმეტეს, რომ ნაწარმოები სულ ახლახანს გამოქვეყნდა და მისი კვლევა თანამედროვე ლიტერატურის კონტექსტში მიგვაჩნია აქტუალურ და საინტერესო გამოწვევათა შორის.

ჩვენი მიზანია, სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში განვიხლოთ ქართულ-რუსული კონფლიქტის კიდევ უფრო მასშტაბური მხარე, კავკასიური ერთიანობის იდეასთან იმპერიის დაპირისპირების თავისებურებები, ერთი მწერლის ერთი რომანის მაგალითზე - ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით. ეს კი, მით უფრო საინტერესოა, რომ ჩვენ მიერ შერჩეული მწერლის შემოქმედება, ზოგადად, გამორჩეულია, როგორც მხატვრული ღირებულებებით, ისე დოკუმენტალისტური მნიშვნელობითაც. როგორც სოსო სიგუა აღნიშნავს ამავე რომანზე მსჯელობისას, მწერალი გიორგი სოსიაშვილი „ადრევე დაუპირისპირდა ხელოვნურ, გამოგონილ თემებს. არჩია, მშობლიური ტრადიციების ერთგული ყოფილიყო, ოღონდ მოახდინა მათი მოდერნიზება და დღევანდელ სატკივარს მიუსადაგა“; ბუნებრივია, ვიზიარებთ

სოსო სიგუას მოსაზრებას იმდენად, რამდენადაც გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში საკმაოდ წარმომადგენლობითი ადგილი უკავია ქართულ-რუსული კონფლიქტის ირგვლივ შექმნილ მხატვრულ ტექსტებს, ხოლო მისი 2016 წელს გამოქვეყნებული მოთხრობების კრებული „გამორთული მთვარე“, რომელიც ამ თემაზე დაწერილ მოთხრობებს აერთიანებს, ჯერ კიდევ 2016 წელს შეფასდა მკვლევართა მიერ როგორც ერთგვარი პოსტმოდერნისტული რომანი<sup>2</sup> და ამდენად, „გოდების კედელი“ სწორედ ამ ციკლის ლოგიკურ და ღირსეულ გაგრძელებად და სრულყოფად გვესახება.

იმისათვის, რომ რეალური მოვლენები მხატვრულად ასახოს მწერალმა, საკმარისია არ არის მხოლოდ ფაქტების საკუთრი თვალთ ხილვა, საჭიროა, მათი აღქმა, შეგრძნება და გათავისება. „ადამიანის ინდივიდუალობას და განუმეორებლობას არაფერი არ ახასიათებს ისე აშკარად, როგორც მისი გრძნობები“<sup>3</sup> ამბობს გერონტი ქიქოძე. ყოველი ადამიანის პიროვნება მის ქმედებებში რეალიზდება, ხოლო ნამოქმედარში სწორედ მისი სულის მოძრაობა იკითხება. გიორგი სოსიაშვილის რომანი „გოდების კედელი“ სწორედ, რომ ნამდვილი შეგრძნებების სამყაროა.

## სიახლე

რომანი არის ახალი გამოცემული და მან უკვე მიიპყრო ქართული ლიტერატურით დაინტერესებული მკითხველი საზოგადოებისა და მკვლევართა ყურადღება, რის შესახებაც რამდენიმე საინტერესო რეცენზია უკვე გამოქვეყნდა ელექტრონულ და ბეჭდურ მედიაში, თუმცა, რომანის შესახებ, მასშტაბური კვლევა

<sup>2</sup> ინფორმაცია მოძიებულია მარიამ საურის სამაგისტრო ნაშრომიდან - „ქართულ-რუსული კონფლიქტი ერთი მწერლის თვალსაწიერში“, გვ. 18.

<sup>3</sup> გ.ქიქოძე . წერილები ესეები ნარკვევები, „მერანი“, თბილისი - 1985, გვ.38.



დღემდე არ განხორციელებულა, შესაბამისად, ამ კუთხით, ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომი სწორედამ რომ საინტერესო სიახლეს წარმოადგენს.

ასევე, აღსანიშნავია თემატური მხარე რომანისა, რომელიც მეტად მნიშვნელოვან პრობლემებს შეეხება და ისტორიიდან ლიტერატურაში გარდასახული ეს პრობლემები ჯერ კიდევ სამომავლო კვლევის საგანთა შორისაა, რამდენადაც საკითხი ერთობ მოცულობითია და ხანგრძლივ პროცესად გვესახება. „კავკასია არა მხოლოდ გეოგრაფიული ოლქი, არამედ ისტორიულ-კულტურული რეგიონიცაა. კავკასიისა და მისი მკვიდრი ეთნოსების ერთიან ისტორიულ-კულტურულ ოლქში მოქცევა ძირითადად საერთო ანთროპოლოგიური ტიპით, მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის ელემენტების მსგავსებით არის განპირობებული. დიდი იყო ერთობა სოციალური ურთიერთობებისა და სულიერი კულტურის სფეროში, ეტიკეტში, მენტალიტეტში. კულტურის საერთო ელემენტებთან ერთად, კავკასიის თითოეულ ეთნოსს მხოლოდ მისთვის მახასიათებელი ყოფა-ცხოვრება, ტრადიციები, მენტალობა ჰქონდა“<sup>4</sup>. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომანის მთავარი იდეის გამოკვეთა - რასაც კავკასიის ხალხთა იდენტური პრობლემის გააზრება წარმოადგენს რომანში და მისი გაანალიზება, ისტორიული პერიპეტეების გათვალისწინებით; შესაბამისად, ჩვენს მიერ კვლევისთვის შერჩეული რომანის ამდაგვარი ანალიზი ასევე იქნება სიახლე და პირველად განხორციელდება ჩვენს სამაგისტრო ნამუშევარში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო პროცესებში ბევრი მწერალი შეეცადა საქართველოს უახლესი ისტორიის მასშტაბურ მოვლენას - რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა და ომის თემებს შეხებოდა, თუმცა გიორგი სოსიაშვილის მიერ შექმნილი ამ რომანის კვლევა ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით: „გოდების კედელი“ უკანასკნელი რამდენიმე წლის ლიტერატურულ ქმნილებათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ვრცელი (შესაძლოა, სწორედ ყველაზე ვრცელიც კი) და მასშტაბური

---

<sup>4</sup> რ.თოფჩიშვილი . კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა. თბილისი 2007, გვ.5-6.

თემატურობის მომცველი რომანია, რომელიც პრობლემას მრავალი წახნაგით წარმოაჩენს და ქმნის დიდ სააზროვნო სივრცეებს, ნაწარმოების ისტორიული და ფილოსოფიური გააზრების შესაძლებლობებით.

### აქტუალობა

ჩვენი კვლევა აქტუალურია ორი მნიშვნელოვანი მიმართულებით, პირველ რიგში, მიმდინარე ლიტერატურული პროცესის კვლევა საკმაოდ შენელებული ტემპით მიმდინარეობს, რაც ვფიქრობთ, რომ გაცილებით მაღალი ტემპით უნდა ხორციელდებოდეს; აუცილებელია თანამედროვე მხატვრული ტექსტების დროული კატეგორიზაცია და სრულყოფილი გააზრება, რამდენადაც, თანამედროვე გარემომ, სოციალურმა ქსელებმა, ტირაჟირების ფორმების მრავალფეროვნებამ და თავისუფლებამ დააგროვა ზღვა მასალა, რომელთა შორის ფასეულის ძიება სულ უფრო ურთულდება რიგით მკითხველს. აღნიშნულთან დაკავშირებით, მკვლევარი გიორგი ხორბალაძე ასეთ შეფასებას აკეთებს: „თანამედროვე მარკეტინგული მიდგომები შეჭრილია ყველა სფეროში და არც ლიტერატურას დაჰკლებია მისი დათვური სამსახური, ზოგიერთი „აღიარებული“ მწერალი, ვისი სახელიც მავანს შესაძლოა დღენიადაგ პირზე ეკეროს, რეალურად, მწერლობასთან მწყრალადაც კი იმყოფება. ზოგჯერ დაბეჭდვამდე ინათლებიან „ბესტსელერად“ წიგნები და მკითხველიც ეგება ეშმაკურად დაგებულ მახეში, აიძულებს რა ცნობისმოყვარეობა, აჰყვეს მარკეტინგის დინებას და „გაასაღოს“ ფერადყდიანი მაკულატურა...

...ილუზიონისტივით დაატრიალებენ ერთი-ორ თვალის ასახვევ ტრიუკს პიარ-მენეჯერები და „კლასიკოსი“ დროებითი ეფექტით მომზადებულია“<sup>5</sup>. ამ მხრივ ჩვენი კვლევა სწორედაც რომ აქტუალურია, რამდენადაც იგი ხელს შეუწყობს თანამედროვე ქართველი ავტორის შემოქმედების კომპლექსური შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი ცარიელი სივრცის შევსებას, ერთი კონკრეტული თანამედროვე მწერლის ახალი

<sup>5</sup> გ.ხორბალაძე.რაკურსი (ლიტერატურული ნარკვევები)-თბილისი 2018,გვ 122.

რომანის შესახებ შესრულებული ნაშრომით. ამასთანავე, ვფიქრობთ, ნაშრომი გარკვეულ წვლილს შეიტანს ზოგადად, თანამედროვე ქართული ლიტერატურის კვლევის მიმართულებითაც, რამდენადაც გიორგი სოსიაშვილი უდაოდ არის ერთ-ერთი გამორჩეული თანამედროვე მწერალი, რაც უკვე არაერთგზის დასტურდება, მკვლევართა მაღალი ღირებულებითი შეფასებებითა და მწერლის მიერ მასშტაბურ ლიტერატურულ კონკურსებში მიღწეული წარმატებებით.

და ბოლოს, მწერალი რუსების მიერ გავლებულ მავთულხლართებთან ახლოს ცხოვრობს და მისი ერთ-ერთი „გოდების კედელი“ ის მავთულხლართიც არის, რომელსაც ყოველდღიურად ხედავს საკუთარ სახლთან ახლოს, ამიტომ მისი მწერლური განცდები ბუნებრივია და მკითხველის თანაგრძნობის ადვილად აღმძვრელი. გიორგი სოსიაშვილი პროფესიით მკვლევარი ისტორიკოსია, ისტორიის დოქტორი, ამიტომ მას გაცილებით ფართე თვალსაწიერი გააჩნია და ამ თვალსაწიერის რომანში ადაპტირება, საშუალებას იძლევა რომანი აღქმული და შესწავლილი იქნას ლიტერატურისა და ისტორიული პარალელების საინტერესო ურთიერთმიმართებით.

### **კვლევის მიზნები:**

ამდენად, სამაგისტრო ნაშრომის **კვლევის მიზანია** თანამედროვე ქართული ლიტერატურის კვლევა, ისტორიული პარადიგმებისა და თანამედროვეობის თვალსაზრისით, თემის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო მასალაზე და ნაწარმოების ტექსტსა და კონტექსტებზე დაყრდნობით, რომანში არსებული დაშიფრული სათქმელის ამოცნობა ეპოქალურ მოვლენათა კონტექსტში. კვლევა, ძირითადად, ეყრდნობა გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაზე მომუშავე მკვლევრების ნაშრომებს, ასევე ჩვენ მიერ შერჩეული საკითხის მსგავს თემებზე შექმნილ სხვა ნაწარმოებებსა და ნარკვევებს.

„მწერლის გაზეთის“ 2016 წლის მეხუთე ნომერში დაიბეჭდა სოსო სიგუას რეცენზია სათაურით- „ჩვენი ცხოვრების სურათები“, სადაც, რამდენიმე ნაწარმოების მაგალითზე, განხილულია გიორგი სოსიაშვილის მწერლური ციკლი, აქცენტირებულია მწერლის მიერ დახატულ ადამიანთა ქცევები ომის პირობებში, შიშისა და უნდობლობის, გამირობისა და სიმამაცის მწერლისეული აღქმა. სოსო სიგუა გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებაში ხედავს რეალობის ასახვას და ქართულ-ოსური კონფლიქტის მტკივნეულ განცდას და მიიჩნევს, რომ, შემოქმედი, როგორც მწერალი და ისტორიკოსი, წარმოაჩენს თნამედროვე პრობლემებს და ცდილობს მათი წარმომშობი მიზეზების გარკვევას, მკითხველს კი აძლევს ისტორიული ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას.

ლიტერატურა, როგორც საზოგადოებრივი ყოფიერების თანმდევი და მისი ანარეკლი, ბუნებრივად, უდიდეს როლს ასრულებდა და შეასრულებს ყოველი მასშტაბური პრობლემის სწორი ანალიზისა და სწორი გადაჭრის გზების დასახვის პროცესებში. როლანდ თოფჩიშვილი წიგნში „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა“ - წერს: „ჩრდილოეთ კავკასიაში ქართველებს ათეულობით პატარ-პატარა ეთნოსი ემეზობლებოდა, რომლებსაც ფაქტობრივად საუკუნეთა განმავლობაში ცივილიზაცია არ შეუქმნიათ. ამავე დროს, აღმოსავლეთიდან ხალხთა ხშირი მიგრაციის გამო, აქაც ეთნოსთა ხშირი ცვლა, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა ხდებოდა. თუმცა ჩრდილოეთ კავკასიის მთაში ძირითადი ეთნოსები მაინც სტაბილურად მკვიდრობდნენ და მათ ქართველ ხალხთან ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდათ. ხშირი იყო მიგრაციული პროცესები, მოსახლეობის გადასვლა-გადმოსვლა არა მხოლოდ კავკასიის იმ ნაწილში, რომელშიც ქართველი ხალხი მკვიდრობდა, არამედ მთელს კავკასიასა და წინა აზიაშიც, რადგან ეს რეგიონი ევროპისა და აზიის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის გზათა შესაყარზეა. საუკუნეთა განმავლობაში ქართული ეთნოსი ყველა იმ ხალხისაგან, ვისთანაც კი ურთიერთობა ჰქონია, შემოქმედებითად ითვისებდა არაერთ კულტურულ მიღწევას, როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის სფეროში. თავისმხრივ, ქართველი ხალხის მრავალი კულტურული მონაპოვარი ყველა მეზობელს, როგორც

ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით და აღმოსავლეთით გადაეცემოდა. ბუნებრივია, ქართველთა მთელი მეზობლური გარემოცვა, ყველა დიდი თუ პატარა ეთნოსი, დიდი ტრადიციების მქონე ქართული მწერლობის არეალში მოქცეულა<sup>6</sup>. ამდენად, ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შერჩეული თემა საინტერესოა, როგორც პრაქტიკული, ისე სამეცნიერო თვალსაზრისით და არა მარტო ქართული ლიტერატურისა და კულტურის კვლევის კონტექსტში. შესაბამისად, ჩვენი კვლევის მიზნებიც უაღრესად მნიშვნელოვნად გვესახება.

### **კვლევის მეთოდები:**

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა ტექსტზე დაკვირვების, ანალიზის ინტერდისციპლინარული მეთოდები. სტრუქტურული და თემატური ანალიზი ეყრდნობა XX საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბებული თემატური კრიტიკის მეთოდოლოგიურ ბაზას, რომელიც ფსიქოანალიტიკური და სოციოლოგიური მეთოდების პარალელურად ჩამოყალიბდა. ტექსტის ინტერპრეტაციის დროს კი გათვალისწინებულია კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომა.

### **თავი I. საკითხის შესწავლის ისტორიიდან**

გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების მიმართ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მკვლევართა დაინტერესება საკმაოდ არის გამოკვეთილი; საყურადღებოა, რომ არსებულ გამოკვლევათა მთავარი ინტერესის საგანს, ძირითადად, სწორედ მწერლის მიერ ომის თემაზე, ქართულ-რუსულ კონფლიქტზე შექმნილი მოთხრობები

---

<sup>6</sup> რ.თოფჩიშვილი. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა. თბილისი. 2007, გვ. 7.

წარმოადგენენ, შესაბამისად, ბუნებრივია, რომ უმრავლესი მათგანი, ხშირ შემთხვევაში, მჭიდრო კავშირშია ჩვენი კვლევისთვის შერჩეულ საკითხებთანაც, თუმცა, ამ შემთხვევაში, ძირითადი აქცენტი უშუალოდ რომანის ირგვლივ არსებულ შეფასებებზე გვექნება გადატანილი.

პირველ ყოვლისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს, წიგნის რედაქტორის თმარ გელიტაშვილის ვრცელი რეცენზია, რომელიც უფროოდენ ნარკვევია, ვიდრე რედაქტორის წინასიტყვაობა. ბუნებრივია, ეს თავადაც გააზრებული აქვს მკვლევარს და სწორედ ამიტომ, რედაქტორი არც „წინასიტყვაობას“ აწერს რომანის რეცენზიას, არც „რედაქტორის სიტყვას“, მას პირდაპირ სათაური შეურჩევია მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი ნარკვევისთვის - „გოდების კედელი“ - ტკივილისა და რწმენის კავკასიური საგა“, რაც სწორედ იმას უნდა უსვამდეს ხაზს, რომ ზოგადი ხასიათის სარედაქტორო სიტყვისგან სრულიად განსხვავებულ სათქმელს გვთავაზობს „გოდების კედლის“ რედაქტორი, რომლის შეფასებითაც „რომანის მთავარ თემას მაინც კავკასიაში რუსეთის მიერ წარმოებული სისხლისმღვრელი ომები წარმოადგენს“<sup>7</sup>.

გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულია ფილოლოგიის დოქტორის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის რეცენზია, რომანის „გოდების კედელი“ შესახებ, სადაც მკვლევარი, ამ კონკრეტულ რომანზე დაყრდნობით, მიმოიხილავს მწერლის ორიგინალურ წერის მანერას და მისი მხატვრული სტილის თავისებურებებს, იქვე, მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს რომანის თემატიკის მნიშვნელობასთან დაკავშირებითაც და გამართლებულად მიიჩნევს მწერლის გადაწყვეტილებას - ამ პრობლემატიკისადმი ასეთი მასშტაბური რომანის მიძღვნის შესახებ.

ჩვენი აზრით, საკითხის კვლევის ისტორიის კონტექსტში, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ რომანის პრეზენტაცია, რომელიც რამდენჯერმე გადაიდო კოვიდ პანდემიის გამოწვევების გათვალისწინებით და საბოლოოდ მიმდინარე წლის ივნისის

---

<sup>7</sup> გ.სოსიაშვილი . „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად ,წიგნი I.თბილისი 2019,გვ8.

თვეში შედგა გორის უნივერსიტეტის მეორე კორპუსის მიმდებარე სკვერში. პრეზენტაციის შესახებ აღნიშვნა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ვინაიდან, სიტყვით გამომსვლელებმა, რომელთა უმრავლესობა ლიტერატურათმცოდნე და ფილოლოგიის დოქტორი გახლდათ, ფრიად მნიშვნელოვან საკითხებზე გააკეთეს აქცენტირება და ჩვენც, საბედნიეროდ, გვაქვს შესაძლებლობა ვისარგებლოთ პრეზენტაციაზე ჩაწერილი ვიდეო და აუდიო მასალით, მოსაზრებათა გაანალიზებისას.

გიორგი ხორბალაძე, საუბრობს რა გიორგი სოსიაშვილზე, როგორც „გოდების კედლის“ ავტორზე, ყურადღებას განსაკუთრებით ამახვილებს იმაზე, რომ „რეალობის არ მოწყვეტა მისი, როგორც მწერლის პასუხისმგებლობაც არის და როგორც ისტორიკოსის განწყობაც, რომ არ დაეწერა რომანი ისეთი, როგორც იქნებოდა მოცილებული რეალურ საფუძვლებს. რომანში ასახული პრობლემატიკა არის სწორედ რეალურ საფუძვლებზე დაფუძნებული, ამიტომ, მე მწამს და მჯერა, რომ გიორგის მიერ ამ რომანში შემოთავაზებული პრობლემის გადაჭრის გზები, ასევე არის ძალიან რეალისტური და ძალზე სწორი. ეს კი, ისევ და ისევ, მეგობრობისკენ მოწოდებაა, ერთმანეთის თვალში თითის ტაკება კი არა, პირიქით, მიტევება და ამ მიტევებაზე, მეგობრობის ნაშალზე ისევ დაფუძნება ახალი ურთიერთობებისა.“

წიგნის რედაქტორის, ლიტერატურათმცოდნე თმარ გელიტაშვილის გამოსვლა რომანის პრეზენტაციაზე, ჩვენი შეხედულებით ასე რეზიუმირდება მისივე სიტყვებით: „მე ამ რომანს დავარქმევდი „რომან ტრილოგიას“. აქ არის სამი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სიუჟეტი. პირველი - ეს არის, მთავარი პერსონაჟის, ბაქარის, ცხოვრება, მისი სიყმაწვილის და სიჭაბუკის წლები, იქამდე, ვიდრე ჩეჩნეთში მოხვდება. მეორე - ეს არის ჩეჩნეთში წასვლა და ციხეში გატარებული ჯოჯოხეთური წლები და მესამე - ეს არის სამშობლოში დაბრუნება. სამშობლო შეიძლება ამ შემთხვევაში უკვე ბრჭყალებში ჩავსვათ, იმიტომ, რომ ბაქარს დახვდა სრულიად სხვა სამყარო, ის ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ პრაქტიკულად ვერ დაუბრუნდა თავის მშობლიურ ფესვებს. დახვდა ყველაფერი შეცვლილი, აღარც ახლობლები, აღარც მეზობლები, აღარც ოჯახის წევრები და აქედან იწყება ბაქარის

თვითჩაძიების პერიოდი. მას დაკარგული აქვს ადამიანური საზრისი და ეს არის უკვე ფიქრები და განცდები იმის შესახებ, რა დანიშნულება აქვს მას, როგორც ადამიანს ამ ქვეყანაზე.“

ფილოლოგიის დოქტორ მურად მთვარელიძის შეფასებით, რომელიც ასევე პრეზენტაციაზე იქნა გამოთქმული: „ბოლო ხანების ქართულ ლიტერატურაში ამ მასშტაბის, ამ დონის, ამ მხატვრული ღირებულებისა და აი ასეთი ფართო და დიდი მოცულობის, ყველანაირი გაგებით, ნაწარმოები არ დაწერილა.

...იქ არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ეპიზოდი, რომელსაც ვერ წაიკითხავ დიდი ემოციის გარეშე. მე ვფიქრობ, რომ მწერლის გამრჯვებაც ეს არის. როდესაც მკითხველი ამ ნაწარმოებს აღიქვამს ისე, როგორც მწერალი ფიქრობდა, რასაკვირველია, ეს უკვე არის გამარჯვება. მე ვფიქრობ, რომ საზოგადო აზრი მის გარშემო უკვე შეიქმნა.“

ხოლო პროფესორი მარინა ცერცვაძე თვლის, რომ რომანი გოდების კედელი, მწერლის მანამდელი შემოქმედების ლოგიკური და ღირსეული დაგვირგვინებაა.

იქვე, სოსო ჭუმბურიძემ რომანი შეაფასა როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

ქალბატონი მექა ხანგომვილი აღნიშნავს, რომ „ბატონი გიორგი სოსიაშვილი არის გამორჩეული მწერალი, რომელმაც სიღრმისეულად იცის კავკასიური ტრადიციები, თუნდაც პაპისა და შვილიშვილის ურთიერთობისა, ის საოცარი ურთიერთობა მამა-შვილსა, საოცარი ურთიერთობები დედის, ან ქალისა და დანარჩენი სამყაროსი, ურთიერთობა ომის შვილებსა და დანარჩენ სამყაროს შორის...

...საოცრებაა ყველაფერი ამის ერთად თავმოყრა და ესე, არა მხოლოდ ლამაზად მოწოდება, არამედ საჭიროებისამებრაც;

...(მწერალი) გვეუბნება რით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ ცხოვრებაში, რომ გადავრჩეთ და ისევ გვერქვას კავკასია, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ჩვენამდე მოიტანეს და ჩვენ დღეს ვამაყობთ.



...მე მიმაჩნია, რომ ეს არის კიდევ ერთი უდიდესი ძეგლი „რომელიც დაიდგა არამარტო ვაინახებსა და ქართველებს შორის, არამედ ეს არის ძალიან დიდი ძეგლი მთლიანად კავკასიის ერთიანობისა.“

საკითხის კვლევის ისტორიის კონტექსტში ასევე ფრიად საინტერესოდ და აუცილებლად აღსანიშნავად მიგვაჩნია, რომ „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდილია, პროფესორ მურად მთვარელიძის ლექსი „მინაწერი გიორგი სოსიაშვილის ორწიგნეულზე „გოდების კედელი“. ბუნებრივია, ეს ლექსი მხატვრული ტექსტია და კვლევას არ წარმოადგენს, თუმცა, ჩვენი კვლევისთვის მეტად საინტერესოა, რამდენადაც, ლექსი მკვლევარი ფილოლოგის კალამს განეკუთვნება და მისი თემატური აქცენტები სწორედ იმ პრობლემატიკის იდენტურია, რის ირგვლივაც ჩვენ ვკონცენტრირდებით რომანის კვლევისას.

გიორგი სოსიაშვილის მოთხრობების შესახებ რამდენიმე ნაშრომია შეტანილი გიორგი ხორბალაძის ლიტერატურული ნარკვევების კრებულში „რაკურსი“; ეს ნარკვევები, უშუალოდ, „გოდების კედელთან“ არ არის დაკავშირებული, თუმცა, მასში მრავალმხრივად არის გაშუქებული მწერლის მხატვრული სამყარო და მისი მწერლური ხელოვნების ნიუანსები. რამდენადაც გიორგი ხორბალაძის მიერ ყველაზე უფრო კომპლექსურად არის გიორგი სოსიაშვილის შემოქმედება ნაკვლევი, ბუნებრივია, ჩვენ აქტიურად გამოვიყენეთ მისი ნარკვევები სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას, ამდენად, რა თქმა უნდა, მივიჩნევთ რომ, მთლიანობაში, საკითხის კვლევის ისტორიას უთუოდ ბევრს სძენს გიორგი ხორბალაძის ის კვლევები, რომლებიც გიორგი სოსიაშვილის შემოქმედების შესახებ არის დაწერილი. თემატური მრავალფეროვნების გათვალისწინებით, თითოეულ ნარკვევს აღარ მიმოვიხილავთ და მხოლოდ სათაურის გაცნობით შემოვიფარგლებით: „მავთულხლართის ორი მხარე თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში“; „ენისა და სტილის თვისებურებანი“; „მავთულხლათი - როგორც ახალი პარადიგმა“; „თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ასახული, ქართულ-ოსური ადამიანური ურთიერთობები რუსული

პოლიტიკის მიღმა“ და ა. შ.<sup>8</sup> ასევე აღსანიშნავია, რომ გიორგი ხორბალაძის მიერვე, უკანასკნელ პერიოდში, გამოქვეყნდა ნაშრომები: „იძულებითი და ბუნებრივი ურთიერთობის ნიუანსები ხელოვნური კონფლიქტის პირობებში - გიორგი სოსიაშვილის ორი მოთხრობის - „ხეფას ბიჭი“ და „ზღვა და ალუბლები“ - მიხედვით“ (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“, თბილისი, 14-15 ოქტომბერი, 2020 წ.) და „რეალობისა და მხატვრული გამონაგონის თანაფარდობა ისტორიული ხასიათის პრობლემატიკაზე შექმნილ პროზაულ ნაწარმოებში - გიორგი სოსიაშვილის მოთხრობების კრებულის „ოთხი მოთხრობა“ მიხედვით“ (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების და შიდა ქართლის სკოლების მასწავლებლების ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, 25 სექტემბერი, 2020 წ.)

---

<sup>8</sup> გ.ხორბალაძე . მავთულხლართის ორი მხარე თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში (გიორგი სოსიაშვილის ორი მოთხრობის მიხედვით), ჟურნალი „გულანი“, №17/2015, გვ210.

## თავი II. მთავარი ფაბულა „გოდების კედელში“

### 1. რომანის სიუჟეტური ქარგა და კავკასია.

ამ პარაგრაფის დასაწყისში, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ რომანი მეტად დინამიურია, მასში მრავალ ამბავთა შენაკადს შეხვდებით, რომელიც ერთ დიდ თემატურ კალაპოტში ჩაედინება. თხრობისათვის ავტორი პირველ პირს არჩევს და სიუჟეტურ ქარგასაც მუდმივად მთხრობელი წარმართავს, რომელიც დრო და დრო ჩანაცვლდება ავტორის ოსტატობითა და გონივრული საჭიროების მიხედვით. ძირითადი მთხრობელი რომანის მთავარი გმირი - ბაქარია, მაგრამ ბაქარს ხშირად უწევს სხვისი მონათხრობების გახსენებაც და მათი ციტირებაც. ამდაგვარად, მონათხრობების სახით შემოდის ახალ-ახალი თემები, ამბები და სიუჟეტები, რომელთა ერთიანობა მოზაიკის პრინციპით კრავს ერთ დიდ სურათს და ეს სურათი გაცილებით უფრო ვრცელია, ვიდრე მხოლოდ საქართველოს პრობლემატიკა. სანამ დეტალურ ანალიზზე გადავიდოდეთ, ასევე საჭიროდ მიგვაჩნია, ძალიან მოკლედ აღვწეროთ რომანის ძირითადი სიუჟეტური ხაზის განვითარება და მისი ქრონოლოგია.

რომანის პირველი ტომი პროლოგით იწყება, საიდანაც უკვე ვიგებთ, რომ ნაწარმოებში, ძირითადად, ერთი ადამიანის ცხოვრებაში ვიმოგზაურებთ, რომელსაც უსამართლოდ მოექცა განგება და მთელი ცხოვრება ტანჯვასა და წამებაში აქვს გავლილი. ავტორის მხატვრულ ოსტატობას კი შესანიშნავად გამოარკვევს ის დეტალი, რომ მთავარი გმირის წარსულის შესახებ პირველ შთაბეჭდილებას მისი აღნაგობისა და იერის აღწერით გვიქმნის. მთავარ გმირი ობოლი ბაქარია, მას პაპა - აბიათარი ზრდის, რომელიც, რამდენადაც სიბრძნითა და კეთილშობილებით

გამოირჩევა, შვილიშვილთან დამოკიდებულებაში მკაცრი მწვრთნელიცაა. აბიათარი ცდილობს საკუთარი გამოცდილებისა და ყოველდღიური ცხოვრებისეული მაგალითების საფუძველზე ასწავლოს ბაქარს კარგის და ცუდის გარჩევა, შეაგუოს იმ ტკივილებს, რომლებსაც შემდგომში ცხოვრება აუცილებლად მიაყენებს. ასწავლის მამა-პაპურ ტრადიციებს, ვაზის მოვლას, უყვება წინაპრებზე, ქვეყნისა და ქრისტიანობის სიყვარულს უწერგავს.

რომანის სიუჟეტში მალევე შემოდის ბაქარის მეგობრები გეგა, ოსი ბათო და ებრაელი ტატო. ისინი, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ეროვნების არიან, ბავშვობიდან ძმებად მოდიან და განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებთ ერთმანეთთან. რა თქმა უნდა, მეგობრების წარმომავლობა ავტორის იდეის ცხადყოფაა იმთავითვე და შემდგომში ამ ერთობას ჩეჩენი ძმადნაფიციც ემატება.

მეორე თავში ბაქარი იხსენებს ბავშვობის მეგობრებთან გატარებულ, უდარდებლობის, სიხარულის წლებს, როგორი ძვირფასი და განუმეორებელი მომენტები გაატარა თავის მშობლიურ მხარეში, მისთვის ძვირფას ადამიანებთან ერთად. პაპა ბაქარს უამბობდა თავის ცხოვრების შესახებ, როგორი უსამართლო წყობა იყო ქვეყანაში და როგორ ჩაგრავდნენ უბრალო ადამიანებს. უამბობდა საიდან დაიწყო ქართველებსა და ოსებს შორის დამაბულობა, ვის გამო გაჩნდა ამ ურთიერთობებს შორის ბზარი და როგორ ზარალდებოდა ორივე მხარე.

მესამე თავიდან ბაქარი ცხოვრებას მარტო აგრძელებს, აბიათარის გარეშე. მაგრამ პაპამ, თითქოს მისი რაღაც ნაწილი შვილიშვილში დატოვა და პაპის ხმა ყოველთვის ჩაესმის ბაქარს, როცა გასაჭირშია, ან არასწორ ნაბიჯს დგამს. ამის შემდეგ ბაქარი უკვე იწყებს ფიქრს, თუ ვინ არის, რა უნდა, ამ ქვეყანაზე, რა დანიშნულება და პასუხისმგებლობა აქვს.

ამასობაში, ბაქარის მეგობარი, ებრაელი ტატო, რომელის ოჯახიც ლიახვის ხეობაში ცხოვრბდა მშობლიურ მიწას - იერუსალიმს უბრუნდება. მიუხედავად იმისა, რომ სანატრელ სამშობლოს უბრუნდება, მაინც დიდი ტკივილით განიცდის საქართველოსი, საკუთარი სოფლისა და მეგობრების დატოვებას. შთამბეჭდავია მისი გამოხატული მადლიერება საქართველოს მიმართ. ტატო საქართველოს აიგივებს

იერუსალიმთან და მიაქვს ქვები, ბალახი, წყალი, რადგან ფიქრობს, რომ საქართველოს მონატრებას ეს ყველაფერი შედარებით გასაძლისს გახდის.

მეოთხე თავში ჩნდება უცნობი ჩეჩენი მებრძოლი ჯარაფი, რომელმაც, ბრძოლის ველიდან წამოსულმა დიდი გზა გამოიარა. ძალაგამოცლილი, სიკვდილის პირზე მყოფი, ბაქარმა და მისმა მეგობრებმა იპოვეს, ბაქარის სახლში უეჭიმეს და ბაქარიც ჩეჩენ ძმადნაფიცს იძენს, რადგან რწმუნდება, რომ ჯარაფი ღირსეული კაცია და თავისი ერის გამორჩეული წარმომადგენელი, რომელსაც საქართველო ძვირფას სამშობლოდ ეგულება.

მეხუთე თავში ბაქარის ბავშვობის მეგობარის, გეგას ოჯახის მძიმე ტრაგედიას ვეცნობით, რასაც, განთქმულ ყაჩაღს, ვინმე „კაზიკას“ აბრალებენ, თუმცა საცნაური ხდება რომ ეს ყველაფერი უაღრესად დამახასიათებელი პერსონაჟის - „ოს - ქართველას“ გაკეთებულია, რომელიც პანკისის ხეობის სოფელ დუმასტურში იმალება. ბაქარს შურისძიების წყურვილი აიძულებს წავიდეს პანკისის ხეობაში, მას იმედი აქვს, რომ ყველაფრის გარკვევაში ჯარაფი დაეხმარება. პოულობს ჯარაფის სახლსაც და გაიცნობს ჯარაფის ბიძას- ხასოს, რომელიც ერთობ კოლორიტული პერსონაჟია, იგი პანკისის ხეობაში ერთ-ერთი უხუცესი და ბრძენკაცია.

ბაქარის ჩასვლით პანკისის ხეობაში, გრძელდება მეორე ტომი და იწყება დილოგიის ახალი სიუჟეტური გზა. თუ პირველ ტომში განსაკუთრებული დანიშნულება აქვს აბიათარის მონოლოგებს, მეორე ტომიდან სწორედ ხასოს მონოლოგებით გამოიკვეთება რომანის მთავარი იდეური მიმართულება. ხასო, პირველ ყოვლისა, ხაზს უსვამს, თითქოს ქართველები და ჩეჩნები ერთნაირი ბედისანი არიან და ახლა მას განსაკუთრებულად ესმის ბაქარის ტკივილი და განცდები. ხასოს(შესაბამისად ავტორის) თქმით ეს გზა, რომელზეც უფალმა დაგვყენა, აუცილებლად გასავლელია, სისხლის გუბებში მოგვიწევს სიარული, დიდი ტკივილის გადატანა, მაგრამ ამ გზას აუცილებლად აქვს მშვიდობიანი დასარული. ხასო სიამაყის განცდით ყვება ჩეჩენ მებრძოლ ბაისანგურზე, რომელის ვაჟკაცობას და სახელს, მრავალი ტკივილის მიუხედავად, მტერმა ვერაფერი დააკლო; ბაისანგურის ვაჟკაცობა სამაგალითო მიმართულებაა ქართველებისა და

ქისტებისთვის. რომანის გმირს აღფრთოვანებს ჯოყოლოს წმინდა გიორგის ტაძრისა და მინარეთის უახლოესი მეზობლობა; ხასო კი ბაქარს ქაქუცას და ქისტების ურთიერთობების შესახებ უამბობს, ასეთივე აღფრთოვანებით. მეორე ტომის კიდევ ერთ ერთი დამახასიათებელი და საკვანძო პერსონაჟია ჯარაფთან მცხოვრები პატარა ბიჭი ჯაბრაილი, ჩეჩნეთის ომის დროს გადარჩენილი და ჯარაფის სახლში შეფარებული, რომელსაც ომის დროს მშობლები დაეხოცა და იქ, ჩეჩნეთში მხოლოდ მოხუცი პაპა ჰყავს. მას ისე ენატრება თავისი სამშობლო, რომ გადაწყვიტა ჯარაფისა და ხასოს სახლიდან ჩეჩნეთში გაიპაროს. ჯარაფი და ბაქარიც სწორედ იმ მისიით მიდიან ჩეჩნეთში რომ ჯაბრაილი საკუთარ პაპას უსაფრთხოდ ჩააბარონ.

ამის შემდგომ, კიდევ ახალი კარი იღება რომანის თემატურ სამყაროში და მოქმედება ჩეჩნეთში ვითარდება, სადაც ძალიან რთული სურათი ხვდებათ გმირებს: განადგურებული სკოლები, საბავშვო ბაღები, სოფლები. მხოლოდ მოხუცები ნახეს, რომელთაც უთხრეს- ჯაბრაილის პაპა გარდაიცვალა და შვილიშვილს სამახსოვრო ნივთები დაუტოვაო. ბაქარი და ჯარაფი საომარ ვითარებაში კარგავენ ერთმანეთს. ჯარაფი კვდება, ხოლო ბაქარი ჯერ იქვე ტყვედ აღმოჩნდება, მოგვიანებით კი, ტამბოვის ციხეში გადაჰყავთ. ბაქარს ამ პერიოდში ურთულესი ბრძოლა უწევს გადარჩენისთვის, თუმცა ციხეში განვითარებული რთული ცხოვრებისეული ბატალიები კიდევ ცალკე თემაა რომანისთვის და აღარ დაგვკონკრეტდებით. ციხიდან გამოსულ ბაქარს ოკუპირებული ხვდება მისი მშობლიური ლიახვის ხეობა და სახლი, ახლობლები კი დაქსაქსულნი არიან.

ბაქარი დევნილთა დასახლებასთან მიდის, მეზობელს - ელიზბარს ნახულობს და მასთან ერთად იწყებს ცხოვრებას. ერთ დღეს, მის ტელეფონზე ბავშვობის მეგობარი, ოსი ბათო რეკავს და ეუბნება, რომ მისთვის გაარღვევს მავთულხლართს. მართლაც, დათქმულ დროს, ბათო თავისი ოს მეგობრებთან ერთად მიდის მავთულხლართთან და მონატრებულ მეგობართან ერთად გერის წმინდა გიორგის სალოცავში ადის, რაც, რა თქმა უნდა, სიმბოლურია იმდენად, რამდენადაც, გერის წმინდა გიორგი სალოცავ- სათაყვანებელი სალოცავი იყო და არის როგორც ოსების,

ისე ქართველებისთვის, ხოლო ქართველი და ოსი მეგობრის ამ საკრალურ სალოცავში ერთად ასვლა, ერთგვარი იმედის შუქის გაჩირაღდნებაა რომანში.

შემდგომ, ბაქარი გაიცნობს კიდევ ერთ დამახასიათებელ პერსონაჟს, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებულ კაცს - ტარიელს, რომელმაც ბაქარს უცხოელი მოგზაურის ჩანაწერები დაუტოვა. ეს ჩანაწერები კი, კიდევ ერთი მსხვილი ხაზია რომანის სიუჟეტურ ქარგაში. ჩანაწერები ვინმე გორკა ხაბიერ ელიზონდოს ეკუთვნოდა. იგი 2008 წლის ომის დროს საქართველოში იმყოფებოდა და ამ ჩანაწერებში სწორედ ის ეპიზოდებია აღწერილი, როგორ იბომბებოდა ქართული სოფლები, ქალაქები, დაბნეული მშვიდობიანი მოსახლეობა რუსეთის მიერ, როგორ აღმოჩნდნენ უსახლკაროდ დევნილები, ნაჩვენებია გაოგნებული ბავშვები, რომელთაც მშობლები დაკარგეს, გამწარებული დედები, მეზრძოლთა სასაფლაოები და ა.შ

რომანის დასკვნით ნაწილში ბაქარი კიდევ ერთხელ ჩადის პანკისში და ის თითქოს ჯარაფად გარდასახულად გრძნობს თავს თავადაც და ხასოც მასში მხოლოდ ჯარაფს ხედავს, რაც სხვა არაფერია თუ არა კავკასიური ვაჟკაცობის იდენტობაზე ალეგორიულად აპელირება.

ფინალში კი კვლავ ბაქარის ებრაელი მეგობარი - ტატო გამოჩნდება ასპარეზზე, რომელიც ისრაელში წაიყვანს და ლიახვის ხეობას გამოფენის სახით, დაკარგული პორტრეტების სახით დაახვედრებს მამულდაკარგულ, სახლკარიდან გამოძევებულ ბაქარს; აზიარებს მაცხოვრის საფლავის ხილვის სიხარულს, სადაც ერთად შედიან და იქაც გზას უთმობს თავის ქართველ ძმადნაფიცს. ეს გზის დათმობის მომენტი კი მწერალს გააზრებულად აქვს სიუჟეტში ნაჩვენები, თითქოს ამით იმავე მაღლის მეგობრისთვის განაწილებას ახდენდეს ტატო, რომელმაც მაღლმაც თავად დააბრუნა სამშობლოში. ტატოსთან ერთად, თითქოს იმედის ცეცხლის დასანთებად, ასრულებს რომანს მწერალი, რადგან, მისი გამოჩენითა და რომანის იერუსალიმში დამთავრებით, მწერალი კვლავ სიმბოლურ მინიშნებებს იძლევა - იქ გოლგოთაა, გზა, რომელიც ყველამ უნდა გაიაროს და თავისი წილი ჯვარი მიიტანოს, იქვეა გოდების კედელი - რომლის ალეგორიაც ჩვენ კავკასიონში დავინახეთ.

მიუხედავად „გოდების კედელში“ მოთხრობილ ამბავთა სიმრავლისა, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მეტად საინტერესო ფაქტზე, თუ როგორ არის რომანში წარმოდგენილი კავკასიელ ხალხთა საერთო გასაჭირი, როგორ არის წარმოდგენილი ქართველებისა და ოსების, ქართველებისა და ჩეჩნების, ქართველებისა და აფხაზების, ქართველებისა და ებრაელების ურთიერთდამოკიდებულება. როგორ ვლინდება და საცნაურდება რუსეთის ზრახვები თუ ინტერესები, რომლებიც კავკასიელ ხალხს უდიდეს ზიანს აყენებს, მიუხედავად იმისა, რომლის მიმართ არის აგრესიით გამოვლენილი და რომლის მიმართ - ყალბი „მშვიდობისმყოფელის“ როლით... ავლნიშნავთ, რომ „პირველი ცნობები კავკასიის ხალხების საერთო წარმომავლობის შესახებ დაცულია ქართველთა „წმინდა წიგნში“ – „ქართლის ცხოვრებაში“, სადაც ლეონტი მროველი ქართველებისა და კავკასიელი ხალხების საერთო წინაპრად თარგამოსს ასახელებს, რომელიც იყო „ძე თარშისი, ძმისწული იაფეთისი, ძისა ნოესი“<sup>9</sup>

რომანში განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართულ-ებრაული ურთიერთობის წინა პლანზე წამოწევას და ეს ურთიერთობა რომანის ცალკე ხაზს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელები კავკასიურ ეთნოსს არ მიეკუთვნებიან, რომანის ამ ხაზს ჩვენ მაინც მივიჩნევთ კავკასიური ერთიანობის იდეის ნაწილად, რადგან, ჩვენი დაკვირვებით, მწერალი ებრაელებს შეგნებულად მოიაზრებს კავკასიელთა შორის, რაც პრინციპში გასაგებია, რამდენადაც, მაგალითად, საქართველოში მცხოვრები ებრაელები, ნებსით თუ უნებლიეთ, შეიქნენ განუყოფელ ნაწილად ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და ყველა იმ მოვლენისა, რომელიც საქართველოში განვითარდა. ამავდროულად, ნაწარმოების თემატიკის გათვალისწინებით, საინტერესოა ისიც, რომ უშუალოდ კონფლიქტის ზონაში, კერძოდ ქალაქ ცხინვალში იყო დიდი ებრაული დასახლება, რომელიც ისევე იქნა დარბეული, როგორც ქართველთა სამოსახლოები და ქართველებთან ერთად ებრაელებსაც მოუწიათ სახლ-კარის მიტოვება და დევნილობა, რაც ზოგადად მათ

<sup>9</sup>ი.ალიმბარაშვილი (სოსო).საქართველო-კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან.(უძვ.პერიოდიდან-XIX ს. 60-იანი წლებამდე). თბილისი 2014,გვ31.



ცხოვრებაში უცხო არ არის ისტორიულადაც. ჩვენი აზრით, სწორედ ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ებრაულ-ქართული ურთიერთობები შეგნებულად აქვს მოყვანილი მწერალს კავკასიური პრობლემების წიაღში და მიგვაჩნია, რომ ამით, ავტორს სურს პარალელური ხაზის გავლება რთულ და ურთიერთსაპირისპირო დამოკიდებულებებით გაჯერებული ურთიერთობებისა - ერთის მხრივ და მეორეს მხრივ - იდეალურამდე მიახლოებული ურთიერთობა ორ ერს შორის, რომელსაც უცხოვრია ერთადაც და დაშორებულა კიდევ ტერიტორიულად, ოღონდ ისე, რომ „ჩიჩქიც არ მოუთხოვია ზედმეტი“ და არც ურთიერთსიყვარულისა და პატივისცემის ჩარჩოს გასცილება. ებრაელები მრავლად სახლობდნენ ლიახვის ხეობაშიც და ამ ამბავს გიორგი სოსიაშვილი არაერთხელ უსვამს ხაზს, რომანის წიაღშიც. ამასთან, საყურადღებოა: „ებრაელების შესახებ ჰასტკაუზენი აღნიშნავს, რომ კავკასიაში ებრაელთა რამდენიმე რელიგიური განშტოებაა: თალმუდის მიმდევარი ებრაელები, რომლებიც კავკასიის სამხრეთით მდებარე ყველა ქვეყანაში გაბნეულად ცხოვრობენ და ვაჭრობით ირჩენენ თავს და კარაიმი ებრაელები, ანუ ბიბლიისტები, რომელთაც უძველესი ტრადიციები და შეხედულებები კი არ უარყვეს, არამედ თალმუდს შეაქციეს ზურგი.“<sup>10</sup> ამასთან, დარუბანდის მხარეშიც ცხოვრობდნენ ძველი ებრაული ტომები „ე.წ. თათები, რომლებიც იუდეველები იყვნენ და მათში სხვა რელიგიის მიღება ეთნიკურობის შეცვლად განიხილებოდა. მიუხედავად ამისა, მათი ნაწილი გარემო მიზეზებისა და შევიწროვების გამო გაქრისტიანდა, ან ისლამი მიიღო, თუმცა ებრაული წესები მთლიანად არ დაუთმიათ.“<sup>11</sup> ეს ყოველივე კი გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ კავკასიაში საუკუნეების განმავლობაში მცხოვრები ებრაელები, სწორედაც რომ კავკასიელ ხალხთა შორის უნდა მოვიაზროთ.

<sup>10</sup> ი. ალიმბარაშვილი (სოსო).საქართველო-კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან.(უძვ.პერიოდიდან-XIX ს. 60-იანი წლებამდე). თბილისი 2014,გვ25.

<sup>11</sup> ი.ალიმბარაშვილი (სოსო).საქართველო-კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან.(უძვ.პერიოდიდან-XIX ს. 60-იანი წლებამდე). თბილისი 2014,გვ26.

## 2. ავტორის იდეური მრწამსი რომანის მიხედვით

დასაწყისშივე აღვნიშნავთ, რომ ნაწარმოებში ნათლად და გარკვევით არის გამოხატული მწერლის ზნეობრივი ღირებულებანი, მისი მრწამსი და დამოკიდებულება: „ ადამიანები, ყველა ერთი სისხლისა, ერთი ჯიშისა და ერთი მოდგმისანი ვართ. როგორც ოჯახი იყოფა, მრავლდება, ჯერ ახლო ნათესავად არიან, მერე და მერე შორდებიან შორეულ ნათესავებად, ბოლოს კი სულ უცხონი ხდებიან, სინამდვილეში კი ერთ ფესვზე არიან ამოყლორტილები. ის ფესვი ავიწყდებათ, არადა სადღაც ხომ არის?! ჩაჰყვები, ჩაჰყვები და აღმოაჩენ, რომ ერთი ბედისანი ვიყავით. მერე დავშორდით, მაგრამ ფესვი, ხომ მაინც ერთი გვაქვს ? რატომ უნდა გვძულდეს ერთმანეთი? ჯერ-ჯერობით ვეტყვით ამ დალოცვილ დედამიწაზე, წყალიც გვყოფნის, ცაც გვყოფნის. იმ დალოცვილმა ისე შექმნა ყველაფერი, რო ერთი მისხალი არავის არაფერი დააკლდება, რაც დასაკლები არ არის. ყველა იღებს იმას, რაც მისთვის საჭიროა. ამ საჭიროებას კი ისა წყვეტს მაღლიდან. ჩვენ გვგონია ხანდახან, რო ვიჩაგრებით, უსამართლობაში ვცხოვრობთ, არადა სულაც არ არის ასე. ეს ჩვენი თვალით და ჭკუით ჩანს თორემ ...“<sup>12</sup>. პარაგრაფის შესავალშივე ამ ციტატის დამოწმება სწორედ იმიტომ მივიჩნიეთ მიზანშეწონილად, რომ მის შინაარსში, ფაქტობრივად, ჩამოყალიბებულია მწერლის დამოკიდებულების მთელი ფაბულა. მწერლის მრწამსია, რომ ეთნიკურობა არავითარ შემთხვევაში არ განსაზღვრავს ვაჟ-კაცობას, ღირსებას, ადამიანობას, ამიტომაც, რომ მის რომანში ყველა საღად მოაზროვნე პერსონაჟს, ეროვნული განსხვავებულობის მიუხედავად, საერთო ღირებულებები აქვთ, ხოლო ეთნიკურად ერთეოვან ადამიანებს მკვეთრად მიჯნავს იგივე ღირებულებები, როდესაც ერთ-ერთი მათგანი ბოროტების მსახური ხდება, ნებსით თუ უნებლიეთ: „ზოგი რუსებთან იყო სამშვიდობო ძალებში მსახურობდა, რას გაიგებ? ერთი ხისგან ბარიც გამოდის და ... ანდაზა როა. ქართველებშიც ხომ არიან ეგეთები, რამდენიც გინდა, შეხედავ გულზე მჯილს რომ იცემს, თითქო სამშობლოსთვის ტყვიას გულს მიუშვერსო, მაგრამ ორ გროშზე ისე გაყიდის თავის

<sup>12</sup>გ. სოსიაშვილი . „გოდების კელეო“, რომანი ორ წიგნად ,წიგნი I.თბილისი 2019,გვ289-290.

ქართველობას, მიწიან, სუფრიან, სადრეგრძელოებიანად, რო თვალს არ დაახამხამებს. ცუდები ყველგან არიან. ღმერთს ეგრე გაუჩენია. მაგას ვამბობდი, ექვის თვალით დასცქეროდნენ ბიჭები.“<sup>13</sup> ფაქტია, რომ თუ სადმე, რომელიმე მონაკვეთში მწერალი სხვათა მიმართ, ზოგჯერ, სამდურავს მაინც შეურევს, არც საკუთარზე ნაკლზე ხუჭავს თვალს, მას სჯერა იმ ღირებულებებისა, რომლებსაც ეთნიკურობა არც გააჩნია და არც განსაზღვრავს, ისევე როგორც შეცდომასა და უღირს ქმედებას ვერ ჩამოირეცხავ ეთნიკური კუთვნილებით.

მიუხედავად იმისა, რომ რომანში გამახვილებულია ყურადღება ოსების, ქართველების, ჩეჩნების, ებრაელების სამაგალითო ურთიერთობებზე, ამის გარდა, ვხვდებით ისეთი ადამიანების სახეებს, ვინც სახელს უტეხავს საკუთარ ერს, თავისი უგუნურებითა და ბოროტების სამსახურში ყოფნით. მაგალითად, ნებისმიერ საღად მოაზროვნე ჩეჩენს სამარცხვინოდ მიაჩნია დაქირავებული ჩეჩენი „ბოევკის“ ჩართულობა აფხაზეთის ომში. ასევე, საღად მოაზროვნე ოსისთვისაც და ქართველისთვისაც აბსოლუტურად მიუღებელია ოსი „ბოევკებისა“ და ქართველი მხედრიონელების უზნეო საქციელი ომის დროს, რომლებიც ისედაც გაუბედურებულ ხალხს ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ, ვინც ომის წყალობით მოითხო ხელი. რომანში კარგად არის ასახული უკეთური „ოსქართველის“ სახე, რომელიც ბაქარის და გეგას ბავშვობის ძმაკაცია; რას უნდა ნიშნავდეს ავტორის გადაწყვეტილება, რომ ასეთი პერსონაჟის ტიპი არც ქართველი ყოფილიყო და არც ოსი, თუმცა, ცოტა ორივე ყოფილიყო კიდევ? ჩვენი აზრით, ეს მწერლის ძალზედ გონივრული გათვლაა და სწორედ იმას მიუთითებს, რაზეც ჩვენ ზემოთ ვიმსჯელებთ, რომ ცუდ კაცს ღირებულებათა არქონა გამოარჩევს და ხდის საძულველად და არა ეთნიკურობა. ბნელი ადანიანები ყველა ერში არიან, ისევე როგორც ღირსეულები, ხოლო ის, რომ ერთ-ერთი ყველაზე უარყოფით პერსონაჟს, ფაქტიურად, ეროვნულობა საერთოდ არ გააჩნია, ჩვენი აზრით, ძალიან კარგი მიგნებაა, რომელსაც გიორგი სოსიაშვილი მიზანმიმართულად იყენებს რომანში.

<sup>13</sup> გ.სოსიაშვილი, „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად, წიგნი I. თბილისი 2019, გვ334-335.

მიუხედავად იმისა, რომ ოსები წარმატებით იქნენ რუსების მიერ გამოყენებული ქართველთა წინააღმდეგ, ამ ნაწარმოებში ისინი ცუდად არსად არ არიან მოხსენიებულები. მწერალი ხაზგასმით აყალიბებს იმ მოსაზრებას, რომ ოსებს და ქართველებს შორის ნორალური ურთიერთდამოკიდებულება იყო იქამდე, სანამ მესამე ძალა არ ჩაერეოდა და რომანში, ბუნებრივია, ასახულია კიდევ მესამე ძალის როლის შესახებ. ავტორისთვის ძალზედ დასანანია ის ფაქტი, რომ ოსები ასერიგად ღრმად მოექცნენ გავლენის ქვეშ და პრაქტიკულად მოქმედება დაიწყეს არა მხოლოდ ქართველების, არამედ საკუთარი ეთნიკური იდენტობის წინააღმდეგაც. ნაწარმოებში არა მარტო პრობლემის წარმომავლობას ეძიებს მწერალი, არამედ მიზეზებსაც სრულად გასაგებად განმარტავს, საიდანაც ჩანს, რომ კონფლიქტი იმთავითვე ხელოვნურად იყო შექმნილი და ხელოვნური ჩარევებითვე ვითარდებოდა: „ჯერ ცხრაასთვრამეტში დავერიეთ ერთმანეთს. მაშინაც წამქეზებლები იყვნენ. წამქეზებლები არასდროს გვაკლდა.“<sup>14</sup> მწერალი მართებულად და ობიექტურად ასახავს, რომ მაშინაც მესამე ძალის ჩარევის შედეგად, ოსები და ქართველები ერთმანეთს სისასტიკის უმაღლესი ფორმებით გაუსწორდნენ, ერთმანეთის სისხლით ვეღარ დანაყრდნენ და მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცას ამ სეირისთვის ეყურებინა და დამტკბარიყო, თორემ გასაყოფი რა ჰქონდათ ამ ორ ერს ერთმანეთში? ქართველებშიც იყვნენ სულგაყიდულები და ოსებშიც, ვინც შემდეგ ომში ხელი მოითხო მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-რბევით. „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი“-ჩვენი არ არ არის? კარგი რაღაცეებიც გვაქვს, განა გადასაყრელები კი არ ვართ, მაგრამ ის სულგაყიდული ქართველი მძარცველები ბერდენკიან ოსებთან ერთად ძარცვავდნენ ცხინვალელ თანამოძმეებს.“<sup>15</sup> ბოლშევიკების ხელისუფლებამ ჯერ კიდევ მაშინ გააკეთა ყველაფერი, რომ სიტუაცია მაქსიმალურად ფეთქებად საშიში დარჩენილიყო და მხოლოდ დრო და დრო გაღვივება დასჭირვებოდა. ეს კი ნამდვილად არასოდეს ეზარებოდა ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს, არც იმპერიის პერიოდში და არც მოგვიანებით, როდესაც ყველაფერს აკეთებდა ადამიანების წასაქეზებლად და

<sup>14</sup> გ. სოსიაშვილი . „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად ,წიგნი I.თბილისი 2019,გვ78.

<sup>15</sup> გ.სოსიაშვილი. „გოდების კედელი“,რომანი ორ წიგნად,წიგნი I.თბილისი 2019,გვ 80.

შეცდომაში შესაყვანდ. „როგორი ცუდი მთავრობაც არ უნდა გყავდეს, ხალხი ყოველთვის მთავრობაზე უარესია. იქიდან მოდის ყველაფერი უკეთურობა. ყველაფრის წყარო ხალხია და არასოდეს არ ყოფილა შემთხვევა - ჩემი მოკლე ჭკუით ვამბობ, რო ხალხმა იცოდეს რა უნდა. ხალხს ერთი სურვილი არ აქვს, მათი სურვილები ათასნაირია და თვითონაც არ იცის, რას ითხოვს ან, რასაც ითხოვს, რო აუსრულო, მერე რაში გამოიყენებს. თავისუფლებას რომ მისცემ ადამიანებს, არ იციან რა არის თავისუფლება და ისევ შენ შემოგცქერიან, რას ურჩევ, რას მიუთითებ. წადი ეუბნები, არ მიდის. აბა რა ფასი აქვს ამ ყველაფერს, წავა, ივლის, იხეტიალებს და სადამოთი ისევ თავის გალიას მიაკითხავს. სანამ თავისუფლებას მისცემ ხალხს, ჯერ თავისუფლების ფასი უნდა ასწავლო.“<sup>16</sup> ასე აფასებს რომანის გმირი სიტუაციას და მისი შეფასება, ბუნებრივია, რომ ძალიან მტკივნეულია, რადგან ნათლად ჩანს რომ საზოგადოება, ხალხი თავ-გზა აბნეულია, ჩამოუყალიბებელია დამოკიდებულებაში და გრძნობებშიც კი, მტერი და მოყვარე ვერ გაურჩევია საფუძვლიანად, ამიტომაც, რომ მთავარ წამქეზებელს მშვიდობისმყოფელის ნიღაბი ათწლეულები ეკეთა და ამის საშუალებაც, საბოლოოდ, სწორედ ადამიანთა თავგზაარეულობამ მისცა. მწერალს დარდი და იჭვიც იპყრობს, რამდენადაც ცუდი ის არის, რომ ეს ყველაფერი გაუცნობიერებელ, მაგრამ მაინც სურვილამდე მიგვიყვანეს: „ჩვენსა და ოსებს შორის გასაყოფი რა უნდა ყოფილიყო. ძალით სისხლს ვერავინ დაგაღვრევენებს, თუ შენი სურვილიც არ არის. ალბათ, სიყვარული გვაკლდა, ბოლომდე ვერ ვენდობოდით ერთმანეთს, ბოლომდე ვერ შევეწყვეთ. თუ ადამიანი გიყვარს, ვერავინ ვერ ჩადგება შუაში, ვერავინ ჩაიხინცება. ალბათ ძალიან არ გვიყვარდა ერთმანეთი და ამით ისარგებლეს. დაფაზე შახმატის კოჭებივით გვაწყობდნენ. გვახოცინებდნენ ერთმანეთს და გვყრიდნენ გვერდზე.“<sup>17</sup> ცოტახნის შემდეგ ჩაწყნარდა ყველაფერი, მაგრამ, ასე უცებ, ამ ხიდის გამთელება შეუძლებელი იყო, რადგან თვითონ ხალხმა ვერ შეძლო დაემთავრებინა ჯერ პირველ რიგში საკუთარ თავში ომი, გულის სიღრმეში ყველას ყველაფერი ახსოვდა, ელოდებოდნენ ერთმანეთის უბრალო

<sup>16</sup> გ.სოსიაშვილი „,, გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნათ, წიგნი I. თბილისი 2019, გვ. 87.

<sup>17</sup> გ.სოსიაშვილი. „,, გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნათ, წიგნი I. თბილისი 2019, გვ. 89.

წაბორძიკებას, რომ ისევ ომი გაეჩალებინათ: „ომის დამთავრება თუ გინდა, პირველ რიგში, შენს თავში უნდა დაამთავრო ომი და შერიგებაზე იფიქრო. ცუდი ფურცლები გადაშალო და კარგი გვერდიდან დაიწყო. წვიმაში მოყოლილი და მერე გამშრალი წიგნი ხომ გინახავთ, რო გადაშლი და გაუბედურებული ფურცლების ნახვა არ გინდა. შლი, შლი და სუფთა ფურცლებს ეძებ, ჩვენც ეგრე უნდა ვეძიოთ სუფთა, დაულაქავებელი ფურცლები.“<sup>18</sup> - რომანიდან არაერთხელ ხდება საცნაური, რომ მწერალი გიორგი სოსიაშვილი მშვიდობის პროპაგანდისტი მწერალია, მას ძალუმს ერთდროულად რეალობის სიმძიმესაც განიცდიდეს, მიყენებულ ტკივილსაც გრძნობდეს, მაგრამ, ამავდროულად, იყოს მზად საკუთარი ტკივილი კეთილი მომავლის მსხვერპლად მიაჩნდეს. წიგნთან სიმბოლური დაკავშირებაც, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებისა, სხვა არაფერია, თუ არა იმის მინიშნება, რომ გონიერება და ინტელექტი გადაწონის ნებისმიერ ძალმომრეობის მეთოდს, კონფლიქტის გადაჭრის ერთადერთი და ყველაზე სწორი გზა სწორედ, საკითხთან საღი აზრით მიდგომაა, რისი გაკეთებაც წიგნიერების გარეშე სრულად წარმოუდგენელია.

„ჩვენ თვითონაც აღარ ვიცით, ვინა ვართ, რას წარმოვადგენთ, რა გვინდა... აგე, ხო უყურებ, რაც ხდება. სუნი ტრიალებს, სისხლის სუნი. მილასლასებულ, ძალაგამოცლილ, ცხვრის მოდარაჯე ძალს რო ტურებიც იბრიყვებდნენ და მათი მოგერიების თავი აღარ აქვს, ისე ვართ. ტურა რომ მეცხვარე ძალს შეაშინებს - თავი გააქნია აბიათარმა. მე იმის მეშინია, ერთ მშვენიერ დღეს სხვის ჭერქვეშ არ მოგვიწიოს ღამის გათენება.“<sup>19</sup> კითხულობ რომანის ამ სტრიქონებს და ხვდები, რომ ერთი - მთავარი მამოძრავებელი მუხტი, რომელმაც რომანის შესაქმნელად განაწყო მწერალი - ერთგვარი შიშიცაა, შიში იმისა, რომ კავკასიელთა დაყოფისა და ამ დაყოფით სარგებლობის გეგმის გაცნობიერება დავაგვიანეთ, დავგვიანება კი ძალზედ სახიფათოა და ბუნებრივია; ეს ხიფათი მწერალს კიდევ შეუნიშნავს და განგაშის ზარიც ჩამოუკრავს: „მაშინ დავფიქრდი იმაზე, როგორი დაღლილი სისხლი გვიმოდრავებდა

<sup>18</sup> გ.სოსიაშვილი. „გოდების კედელი“ ,რომანი ორ წიგნად ,წიგნი I.თბილისი 2019.გვ79.

<sup>19</sup> გ.სოსიაშვილი. „გოდების კედელი“ ,რომანი ორ წიგნად,წიგნი I.თბილისი 2019.გვ 143-144.

ქართველებს. გენიც დაღლილი იყო, სისხლიც დამდგარი, მწერდასეული წყალივით აყროლებული. როგორც დამდგარ ჭაობად ქცეულ წყალს უნდა ახალი ნაკადულის მიშვება, ისე უნდა ჩვენს ხალხს სწორად გაზრდილი, ჯანსაღი სულის ახალგაზრდობა. დღევანდელი ჭაობია, სუნი ასდის. ერიც ჭაობშია ჩანთქმული და ბერიც, მარტო ყანწების ტრიალი, ყელის მოღერება ვერ გვიშველის, ვერც ანაფორა და წამდაუწუმ ღმერთის შეწუხება. ახალი წყალი გვინდა, ამ წყალს შეგროვება უნდა და მერე კალაპოტის მიცემა, რო ჭაობამდე მიიყვანო, სანამ ბოლომდე არ ქცეულა ბაყაყების სადგომად. ვგრძნობდი, როგორი სულში ჩაფურთხებული ვიყავი.<sup>20</sup> ახალი წყალი, ახალი სულისკვეთებაა, საფრთხის გაცნობიერებით, გასიგრძეგანებით და მტრის სწორად ამოცნობით აღმოცენდება. მწერალი ხედავს სიტუაციის სირთულეს, გრძნობს ჭაობის სუნს, ედარდება ჭაობში ჩანთქმული ერი და ბერი, მაგრამ, ჯანსაღი ახალგაზრდობის მოსვლის სწამს, ეს რწმენა შემოაყვანიანებს რომანში ახალ თაობას, მტერზე დაგეშილი ჭაბუკების პერსონაჟებს. მწერალი თავგების შესახებ წერს ერთ ეპიზოდში, მას აწუხებს გარკვეულ ვითარებაში რომ თავგებს უფრო გონივრულად შეუძლიათ ქმედება, ვიდრე გამხეცებულ ადამიანებს. თავგების მიერ, პურის ნამცეცების თანასწორად გაყოფის ცქერა შეეხარბება პერსონაჟს და ჩვენი აზრით ეს იმიტომ, რომ მწერალი ალეგორიულად, სწორედ კავკასიური ერთიანობის თანასწორი თანაცხოვრების უპირატესობას უსვამს ხაზს, მისი სათქმელი კიდევ უფრო საცნაური ხდება, როდესაც ხაზს უსვამს საკუთარ წილს და ადგილს ცოდნის აუცილებლობაზე: „საკვირველია, ისე თანასწორად შეექცეოდნენ პურის ნამცეცებს, ისე უშფოთველად, ცქერა მოგინდებოდა. მეცინებოდა, თავგებს ადამიანებზე მეტი ჭკუა აქვთ, ჩემ წილ ხმელ პურზე ერთმანეთს არ ჭამდნენ, თავიანთი წილი და ადგილი იციან.“<sup>21</sup> როგორც პერსონაჟი შენიშნავს, ამ შემთხვევაში ცხოველების ინსტიქტური ქმედება უფრო ადეკვატურია ვიდრე ადამიანების. მიწის გულისთვის ომებს აჩაღებენ, ერთმანეთის სიცოცხლეს სპობენ. „ადამიანებად შეგვქმნა უფალმა, თავის სიტყვას ხორცი შეასხა, სახეც კი თავისი გვიბოძა, ჩვენ კი ვირთხევად გადავიქეციოთ,

<sup>20</sup> გ.სოსიაშვილი. „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად, წიგნი I.თბილისი 2019, გვ.292.

<sup>21</sup> გ.სოსიაშვილი. „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად, წიგნი II.თბილისი 2019, გვ.97.

ერთმანეთს ვანადგურებთ, ვქურდავთ, ვპარცავთ, ვკლავთ... რა გვინდა ჩვენც არ ვიცით.“<sup>22</sup> ამავე კონტექსტის გათვალისწინებით - რაც საკუთარი წილის და ადგილის ცოდნაში მოიაზრება, კიდევ ერთხელ ხდება სრულიად გასაგები ქართულ-ებრაული ურთიერთობის ხაზის ასეთი მსხვილი რაკურსით შემოტანა რომანში. ეს საუცხოო მაგალითია იმისა, რომ შეიძლება იცხოვრო ქვეყნის აღიარებულ საზღვრებში, როგორც განსხვავებული ეთნოსის წარმომადგენელმა და იყო ქვეყნის ღირსეული, სრულუფლებიანი მოქალაქეც და, ამავდროულად, შენი ერის სამაგალითო წარმომადგენელიც, ამისათვის კი არც საზღვრების ძალადობრივი მიწევ-მოწვევა საჭირო და არც ომის ცოდო-მადლის ტრიალი. მწერალი თვლის, რომ არის ორი მოცემულობა, ერთი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრები, ხოლო მეორე ბუნებრივი საზღვარი კავკასიონი, რომელიც მის შემოგარენში მყოფ სახელმწიფოებსა და ეთნოსებს ერთ დიდ ოჯახად აერთიანებს.

ჩვენი შეფასებების სისწორეში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა რომანის პრეზენტაციაზე ავტორის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ, სადაც გიორგი სოსიაშვილი, ამბობს: „სწორედ ეხლა არის შერიგების დრო, ხელის გაწვდომის დრო. თორემ მტრის წისქვილზე ესხმევა წყალი, ჩვენი ამ ხანდახან დიდი შეცდომებით და ჩვენი მოუზომავი ნაბიჯებით. ამიტომაც გვმართებს ერთსულოვნება, სიყვარული იმიტომ, რომ გათითოკაცება და დაშლა ჩვენი საზოგადოების დაღუპვის საწინდარია“

საყურადღებოა, რომ მწერალი პერმანენტულად გვახსენებს ებრაელთა გზას, რითაც ასევე გონივრული პარალელების მოძებნის საშუალებას გვაძლევს, ოღონდ, ეს პარალელი მკითხველმა თავად უნდა გაავლოს. ებრაელმა ხალხმა ბევრს გაუძლო, რამდენ რბევას, რამდენ ტანჯვა-წამებას, მრავალმა მათგანმა საკუთარი ქვეყნის ნატვრაში სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე დალია სული, მაგრამ მაინც იმედი არ დაუკარგავთ, იბრძოდნენ და საწადელსაც მიადწიეს. სწორედ ეს გვჭირდება, ასეთი რწმენა და იმედი გვინდა კავკასიელ ხალხსაც: „ებრაელებმა ჯოჯობხეთური გზა გაიარეს, რომ აღთქმულ მიწამდე ჩამოედწიათ. ეს გზა იყო ცრემლით, ტკივილით და

---

<sup>22</sup> გ.სოსიაშვილი „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად, წიგნი II. თბილისი 2019, გვ. 161.



ტანჯვით სავსე. როგორც მშობელს სურს, მკაცრი აღზრდით ასწავლოს საყვარელ შვილს ცხოვრების გემო, უფალი ისე მოექცა თავის რჩეულ ხალხს. უდაბნოში ხეტიალის წლებმა ბევრ რამეზე აგვიხილა თვალი, ბევრი რამ გვასწავლა. მოკლე და მშვიდობიანი გზა, დანაყრებული კუჭით და დასვენებული მუხლებით სამშობლოს სიყვარულს ვერ გვაგრძნობინებდა. ადვილად ნაპოვნი წყარო ხრიოკ უდაბნოში წყურვილს ისე ვერ გიკლავს, როგორც კარგა ხნის ძებნის მერე რომ წააწყდები და მოჩუხჩუხე წყალს დაეწაფები. მაშინ უკეთ იგებ, რა არის წყურვილი, წყლის ფასსაც უკეთ ხვდები...“<sup>23</sup> შევნიშნავთ, რომ გიორგი სოსიაშვილი წყალს სხვაგანაც გაიაზრებს, როგორც სულიერი სისუფთავეს და როგორც სამშობლოს ღირსებას. ამ სიმბოლური გააზრების განმეორებადობა კი ცხადჰყოფს, რომ მწერალი შემთხვევით არაფერს წერს. ის სრულიად გააზრებულად და ღრმა დატვირთვით იყენებს სიმბოლურ ელემენტებს, რაც, ჩვენი დაკვირვებით, საკმაოდ მკვეთრად არის დამახასიათებელი ამ რომანისთვის; სიმბოლურია სათაურიც, სიმბოლურია რომანის ფინალური ნაწილის გოდების კედელთან დასრულებაც, გოდების კედელი ნიშან სვეტია გამარჯვებისაც და იმისიც, არნახული სირთულეების დაძლევაც შესაძლებელია. „შუბლი შევახე კედელს და უცნაური სიმხურვალე ვიგრძენი. იტყოდი, ცეცხლი აგიზგიზდა ტვინში, მერე ამ ცეცხლმა მთელ სხეულში დამიარა, სისხლი ამიდუღდა. შუბლი თითქო გოდების კედელზე მიმიხორცდა, ვეღარ ვცილდებოდი. აქ მოთქმისა და ვაების დრო არ იყო, აქ მხოლოდ ნატვრა შეიძლებოდა. ჩემი ცხოვრების წიგნი ფურცელ-ფურცელ გადამეშალა თვალწინ. ყოველი წამი, წუთი, საათი, კვირა, თვე და წელი გამიცოცხლდა და ვიგრძენი, როგორ ახლოს იყო ჩვენი ორმოცწლიანი ხეტიალის დასასრული.“<sup>24</sup> როგორც ცნობილია, იერუსალიმში მდებარე ძველებრაული ტაძრის კომპლექსიდან შემორჩენილ მთის ნიადაგის გასამაგრებელ ქვემო გალავნის დასავლეთი მხარეს არაბებმა “ჰიათ ელმაბქა” – “ცრემლების ანუ გოდების კედელი” შეარქვეს, ტაძრის დანგრევით გამოიწვეული მწუხარების გამო. ტაძარი მტრის შემოსევების შედეგად დაინგრა, რაც დიდი ტრაგედია იყო, ებრაელები კი მის რესტავრაციას შეუდგნენ,

<sup>23</sup> გ.სოსიაშვილი . „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად ,წიგნი II.თბილისი 2019,გვ 414.

<sup>24</sup> გ.სოსიაშვილი. „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად ,წიგნი II.თბილისი 2019,გვ 415.

რადგან მისი აღდგენა ებრაული ტომების სულიერ ერთიანობას ისახავდა მიზნად. კავკასიელი ხალხისთვის კი თითქოს გოდების კედლად კავკასიონი ქცეულა, ისიც ბნელი, ურთულესი წარსულის მხილველიცაა და მომავლის იმედის სიმბოლოც აქ მცხოვრები ერებისა.

### თავი III. რომანი და ისტორია

#### 1. რომანის იდეა და ისტორიულ პერიპეტები

წიგნში „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა“ როლანდ თოფჩიშვილი წერს, რომ რუსები: „წინა ორი ასეული წლის განმავლობაში ცდილობდნენ ქართველ ხალხს თავის მეზობლებთან ნაკლები კონტაქტები და ურთიერთობა ჰქონოდა. ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის გარიჟრაჟზე, ზოგიერთმა ჩრდილოეთ კავკასიელმა ხალხმა ქართველ ხალხთან ურთიერთობაში არასწორი, მტრული პოზიცია დაიკავა. ახლაც არის ტენდენცია, რომ გაუცხოება მოახდინონ ქართველებსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის...“

...კავკასიაში მცხოვრები ყველა ეთნოსის ნორმალური განვითარების პირობა კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობების განვითარებაა, ამისათვის კი საჭიროა მათ ერთმანეთის ისტორიის, ყოფისა და კულტურის შესახებ ბევრი რამ იცოდნენ. სამწუხაროდ, ყველაფერი პირიქითაა. ისინი ერთმანეთის შესახებ მცირე ინფორმაციას ფლობენ. იშვიათი არაა ისტორიის ფაქტების დამახინჯება, მითოლოგიების შექმნა, რაც დამაბულ ვითარებას კიდევ უფრო ართულებს. ქართველების მოვალეობაა რაც შეიძლება ბევრი ვიცოდეთ ჩვენი მეზობელი

ხალხების, კავკასიელთა შესახებ. ეს განსაკუთრებით ითქმის მათი ეთნიკური ისტორიისა და ეთნიკური კულტურის შესახებ. ეს ცოდნა არა მარტო ყველა ჰუმანიტარს, არამედ საქართველოს ყველა რანგის რიგით მოქალაქესაც უნდა ჰქონდეს...“<sup>25</sup> აქვე, აუცილებელია, კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღინიშნოს, რომ მწერალი გიორგი სოსიაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორია და საქართველოს ისტორიის საკითხებზე მას არაერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო გამოკვლევა აქვს გამოქვეყნებული, განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ გიორგი სოსიაშვილის ავტორობით გამოცემულია ვრცელი გამოკვლევა სამაჩაბლოს ისტორიისა, ამდენად მას კარგად აქვს გასიგრძეგანებული საკითხის მნიშვნელობა და ამომწურავად ფლობს ისტორულ ნიუანსებსა და თანამედროვე გამოწვევებს. შესაბამისად, რომანის არსებულ ისტორიულ მხარესაც ბუნებრივად ეტყობა ისტორიკოსის ხელი. ამის გამოა, რომ სრულიად გასაგებად არის შესაძლებელი პრობლემის შინაარსისა და მისი ქრონოლოგიის ამოკითხვა რომანში. კავკასიის სრული დამორჩილებისკენ ლტოლვა რუსეთის მხრიდან და კავკასიელთა შორის ერთიანი სულისკვეთების კონსოლიდაციის მცდელობა მხოლოდ თანამედროვეობის პრობლემას არ წარმოადგენს. როგორც ირკვევა, ეს პროცესი დასაბამს მეთხუთმეტე საუკუნიდან იღებს. იოსებ ალიმბარაშვილის ნაშრომში საქართველო - კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან (უძვ. პერიოდიდან - XIX ს. 60 - იან წლებამდე) ვკითხულობთ: „საკუპაციო რეჟიმით მოსახლეობის ყველა ფენა უკმაყოფილო იყო, მაგრამ განსაკუთრებული წინააღმდეგობით ბაგრატიონთა სამეფო ტახტის წევრები გამოირჩეოდნენ. ისინი ადგილობრივი მოსახლეობის გარდა, თვისუფლების მოყვარე ჩრდილკავკასიელი მთიელებსაც მოუწოდებდნენ კონსოლიდაციისა და ახლად დამკვიდრებული რუსული კოლონიური უღლის წინააღმდეგ ერთიანი ძალით საბრძოლველად.

რუსეთის მიერ კავკასიის დაბყრობისა მასთან შეერთების პროცესი სამ პერიოდად შეიძლება წარმოვიდგინოთ. პირველი პერიოდი მოიცავს XV ს. 80 - იანი

---

<sup>25</sup> რ.თოფჩიშვილი. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა. თბილისი 2007, გვ. 5-6.

წლებიდან, რუსეთის სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში დიპლომატიური ურთიერთობების დაწყებიდან, ვიდრე XVIII ს. 60 - იან წლებამდე, ანუ, რუსეთ - ოსმალეთის ომების დასაწყისამდე მონაკვეთს.

მეორე პერიოდი XVIII ს. 60 - იანი წლებიდან XIX ს. ათიან წლებამდე ეპოქაა, რომელსაც თანაბრად შეიძლება დიპლომატიურ - ხისტი პერიოდი ვუწოდოთ. რუსეთი ყველანაირ ზომას მიმართავს კავკასიაში გავლენის სფეროების გაფართოების მიზნით.

მესამე პერიოდი XIX ს. ათიანი წლებიდან 1864 წალმდე, ყველაზე აგრესიული ხანაა, როდესაც რუსეთმა თავისი მიზნები კავკასიაში რეალურად წარმოაჩინა, მათ შორის სადამსჯელო ღონისძიებებით, აშკარა საომარი მოქმედებებითა და კოლონიზატორული პოლიტიკით<sup>26</sup>.

რომანის წიაღში წამოჭრილი ყველა პრობლემა გამოკვეთილია სიღრმისეულად და მწერალი მას განიხილავს საწყისიდან დღევანდლობამდე. მაგალითად, ოსთა ჩამოსახლების საკითხთან დაკავშირებით, რომანში ვკითხულობთ: „იქიდან წამოვედით ჩვენა, გერის ხეობიდან გადმოვსახლდით. აქაურები ზოგი რაჭიდან გადმოვიდა, ზოგი კასრის ხევიდან. დვალეთი ერქვა, იქით იყო - კავკასიონისკენ გაიშვირა ხელი. - იქითაც ქართველები იყვნენ, მთის იქითაც, მთის აქეთაც, მერე ოსები ჩამოსახლდნენ და დვალეთიდან და კასრის ხევიდან დაიფანტა ჩვენი ხალხი. ოსები მაშინ სად იყვნენ, გვიან-გვიან ჩამოსახლდნენ მთებში და ეხლა ხო ხედავ რაც ხდება - ამოიოხრა და ისევ კავკასიონისკენ გაექცა თვალი“<sup>27</sup>. - ამ ეპიზოდში ორი რამ არის მნიშვნელოვანი, ერთი ის, რომ გმირის მიერ კავკასიონისკენ გახედვა საუბრის მიწურულს, შემთხვევითობას არ წარმოადგენს, კავკასიონი მოცემულობაცაა და ერთიანობის სიმბოლოც, ამიტომ მას მეტაფორული გააზრებაც გააჩნია ავტორისთვის, თორემ გმირი იქით გაიხედებოდა საითაც ავტორს უნდოდა. მეორე კი ის არის, რომ კარგად ჩანს ქართველი ხალხის და ოსი ხალხის ურთიერთობის დასაწყისი, ვხედავთ

<sup>26</sup> ი. ალიმბარაშვილი (სოსო). საქართველო-კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან. (უძვ. პერიოდიდან- XIX ს. 60-იანი წლებამდე). თბილისი 2014, გვ. 218.

<sup>27</sup> გ. სოსიაშვილი. „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად, წიგნი I. თბილისი 2019, გვ. 40.

თუ როგორ ვითარებაში ხდება ოსთა ჩამოსახლება და შემდგომ როგორ განვითარდება, ვიდრე ხელოვნურად ჩაერთობოდა რუსული ძალა. შეიქმნა ქართულ-ოსური ოჯახები, მათი თანაცხოვრება უპრობლემოდ მისდევდა ცხოვრების დინებას. „ერთად იზრდებით, ერთმანეთში ხართ. ხომ გინახავთ ერთმანეთს მიხორცებულები, ვერ დააშორებ. დააშორებ და ორივე ხმობაში წავა. შეიძლება რაღაც დრო გაძლონ კიდევაც, მაგრამ მაინც გახმებიან. ჩვენი ურთიერთობაც ეგრე იყო. აგვაგლიჯეს ერთიმეორეს, აგვახლიჩეს და ჭრილობა გამოჩნდა. ეგრე აგლეჯილ-ახლეჩილები ვართ ეხლა და ვხმებით, ხმობაში ვართ წასულები. ომმა ყოფა გვიტირა. არადა, როგორ გვიყარდა ერთმანეთი. ნათლობას სიყვარულის მეტი რა გაგაკეთებინებს. ნათელ-მირონად კაცს, როგორ მოიკიდებ, თუ არ გიყვარს. რა ჯანდაბა დაგვემართა არ ვიცი... ვისი გული დავახამეთ, ვის დაკრულზე ავცეკვდით და ავთამაშდით. თავისუფლებამ გვაწყინა მგონი. პატიმრობაში უფრო გააქვთ ხოლმე ერთიმეორე ძმაკაცებს. გაჭივება აყვარებთ ერთმანეთს. მონობაში, რომ ვყოფილიყავით, იქნებ უფრო გყვარებოდა ერთმანეთი. სისხლი დაიღვარა, სისხლი. სისხლის სუნს სხვანაირი ქარი სჭირდება მოსაშორებლად. ეს ქარი ჯერ არ ამოქროლებულა. ყველაფერი არც შენ უნდა დაიბრალო, თუ კაცთან მომავალშიც აპირებ ძმობას და არც იმას უნდა დააბრალო.“<sup>28</sup>

კიდევ უფრო ხანგრძლივი და მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს ჩეჩნურ-ქართულ ურთიერთობებს, ზოგადად, „ქართულ წყაროებში ეთნონიმ “ქისტს” “დურძუკი” (“დურძუკნი”) უსწრებს, ხოლო დურძუკებით დასახლებულ ქვეყანას “დურძუკეთს” უწოდებდნენ. მაგალითად, ლეონტი მროველი (XII ს. ავტორი) მოგვითხრობს, რომ ქართლის მეფე საურმაგს ერისთავები აუჯანყდნენ. მან კი მათი შფოთის ჩასახშობად დედის ძმის ქვეყნას - დურძუკეთს მიმართა და დურძუკების საშუალებით ერისთავები დაამარცხა. ამავე დროს, საურმაგს, იმის გამო, რომ დურძუკეთი გადამეტსახლებული იყო, დურძუკების მნიშვნელოვანი რაოდენობა საქართველოს მთიანეთში - დიდოეთიდან სვანეთამდე - დაუსახლება. ზოგიერთი მათგანი კი სოციალურად დაუწინაურებია, როგორც ლეონტი მროველი გვაუწყებს,

<sup>28</sup> გ.სოსიაშვილი . „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნი ,წიგნი I.თბილისი 2019,გვ 77-78.

“დურძუკნი” “ნათესავნი კავკასისნი” “წარჩინებულ ყვნა”. დურძუკეთსა და დურძუკებს “ქართლის ცხოვრების” სხვა ავტორებიც მოიხსენიებენ. მონღოლ-თათრებთან ბრძოლაში მეფე რუსუდანს სხვა კავკასიელ მთიელებთან ერთად დურძუკნიც გამოუყენებია. “ძურძუკეთსა” და “ძურძუკებს” ვახუშტი ბაგრატიონიც არაერთხელ იხსენიებს. ასე რომ, XVIII \_ს-ის დასაწყისში ქართველთათვის ის კვლავ ცოცხალი და ცნობილი ეთნონიმი იყო. ვახუშტისათვის ჩაჩნები და მათი მონათესავენი სამი ეთნიკური ერთობის ერთობლიობას წარმოადგენდნენ; ის ძურძუკებთან ერთად ქისტებსა და ღლიღვებსაც (ინგუშებს) ასახელებს. ამას გარდა, ვახუშტი ქისტ-ძურძუკებსა და ქისტ-ღლიღვებზედაც საუბრობს. იმავე პერიოდში (XVIII\_ს. დასაწყისში)ქართველებისათვის ეთნონიმი “ჩაჩანიც” უკვე ცნობილი იყო. ვახუშტი ბაგრატიონი თავის ნაშრომში “ჩაჩანს” ორჯერ იხსენიებს<sup>29</sup>.

რუსეთი ბევრს ეცადა ომებით, ბრძოლებით, იძულების მრავალი ფორმით გაერუსებინა კავკასიელი ხალხი, თუმცა ვერ მოახერხა და ამიტომ სხვა ვერაგულ გზას მიმართა. დიდი ხნის განმავლობაში აკვირდებოდა კავკასიელებს, სწავლობდა მათ ხასიათს. საინფორმაციო ქსელი შექმნა, თანაც იმ კონკრეტული კავკასიელებისგან, რომლებმაც საკუთარი ქვეყანა, საკუთარი ხალხი გაწირეს. რა თქმა უნდა, რომანი მხატვრული ნარატივია და მწერალი ამ მოსაზრებათა კვალდაკვალ, წყაროებს არ მიუთითებდა, თუმცა ეს ყოველივე რომ უტყუარი ჭეშმარიტებაა, ვფიქრობთ, ამას უკვე შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ამჩნევს მსოფლიო საზოგადოება. რომანში ამ ქსელის შესახებ მამა მაკარის მეშვეობით ვიგებთ: „მათთან უნდა მემუშავა, მათთან უნდა მეთანამშრომლა. დავალებების შესაბამისად, წერილები უნდა მომემზადებინა და მითითებულ მისამართზე მეგზავნა. უნდა გადამეცა ქართველებისა და ოსების ურთიერთობების ამბავი. მათი ურთიერთდამოკიდებულება, ინფორმაციები ქართულ-ოსური შერეული ოჯახების შესახებ, განწყობა ოს ახალგაზრდობაში, შუა ასაკის ხალხში, ასაკიან ადამიანებში...“<sup>30</sup> მამა მაკარი კი იმ ადამიანების რიცხვს

<sup>29</sup>რ. თოფჩიშვილი. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია ეთნიკური ისტორია,ეთნიკური კულტურა.თბილისი2007,გვ 38-39.

<sup>30</sup>გ.სოსიაშვილი . „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად , წიგნი I.თბილისი 2019,გვ 299.

მიეკუთვნებოდა ვინც უარი თქვა ამ სამსახურზე, მართალია მათ წინააღმდეგ არ უბრძოლია, მაგრამ მათგან ჩამოშორებაც ერთგვარი პროტესტის გამოხატულებაა. იგი, მიუხედავად იმისა, რომ უფლის სამსახურში ჩადგა და განერიდა საერო ცხოვრებას, მაინც ყოველ წამს ელოდება, რომ მას თავიდან მოიშორებენ, რადგან მან იმაზე მეტი იცის, ვიდრე უნდა იცოდეს. მამა მაკარისგან განსხვავებით, ბაქარის ძმაცაი „ოს-ქართველა“ იმ ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება, ვინც სიამოვნებით ასრულებს ამ საქმეს და „ხელსაც გვარიანად ითბობს“. ბაქარის ამ „ძმაცაც“ სახელს არ არქმევს ავტორი იგი უსახელოდ ყავს დატოვებული, ავტორისგან ეს ერთგვარი ტაქტიკაა, რითაც ხაზს გაუსვამს, რომ ცუდი საქმის მკეთებელს სწორედ იმ ავკაცობით იცნობს საზოგადოება, რაც ჩაუდენია და არა სახელით. ავტორის ტაქტიკა უტყუარად ვლინდება, რამდენადაც პერსონაჟის უსახელობას აშკარად დემონსტრაციული ხასიათი აქვს. რუსეთმა კარგად იცის, ვის რა უნდა დაავალოს და ამ პიროვნებას საკუთარი ბავშვობის ძმაცაის მკვლელობა ერგო, გაწირა მის გვერდით გაზრდილი თანამოდმე, გეგას და მისი ოჯახის მკვლელობაში მიიღო მონაწილეობა, აიღო თავისი „ოცდაათი ვერცხლი“ და გაიქცა. ისიც ზუსტადაა გათვლილი, ვის უნდა დაბრალდეს ეს მკვლელობა - ოს ბოევიკ კაზიკას, იმიტომ, რომ ოსებსა და ქართველებს შორის უფრო დაიძაბოს ურთიერთობა, სისხლის აღებას მოინდომებდნენ ქართველები და საერთო მტერიც იმას მიიღებს, რასაც გეგმავს. თუმცა ხანდახან მკვლელებს და ყაჩაღებსაც შერჩებათ ხოლმე ცოტაოდენი სინდის-ნამუსი. კაზიკა ბათირას შუამავლობით იმ ადამიანთან მიდის, ვისაც ნამდვილად შესტკივა გული გეგაზეც და საერთოდ იმ დროინდელ მდგომარეობაზეც, ყველაფერს უამბობს, თუმცა დაიჯერებენ თუ არა მისას, არც ეს ადარდება, მთავარია მან თავისი ვალი ამ საქმეში მოიხადა. სიუჟეტის ამგვარი განვითარებით კი ავტორი გამოხატავს საკითხისადმი დამოკიდებულებას, რწმენას, რომელიც დაფუძნებულია სულის სიღრმეში ჩაკვირულ სინანულზე, რომელიც ორივე მხარეს უამრავ ადამიანს გააჩნია, საკუთარ თავთან მარტო დარჩენისას კი აღიარებს, მაგრამ სააშკარაოზე გამოტანას უამრავი ხელოვნურად აგებული ფსიქოლოგიური ბარიერი აბრკოლებს. მწერალ გიორგი სოსიაშვილს კი დიდად ეიმედება ეს განძივით ჩაფლული განცდა, მას სჯერა რომ იგი

უთუოდ გამოიღებს ზნეკეთილ ნაყოფს. პრინციპში ამის სჯერათ ჩრდილოელ მეზობლებსაც, მაგრამ ისინი მწერალივით რწმენით კი არა შიშით უყურებენ ამგვარ პერსპექტივას, სწორედ ამიტომ უზღვავე ძალისხმევით აჩერებენ პროცესს... როგორც გიორგი ხორბალაძე წერს ნარკვევში: „იძულებითი და ბუნებრივი ურთიერთობის ნიუანსები ხელოვნური კონფლიქტის პირობებში (გიორგი სოსიაშვილის ორი მოთხრობის - „ხეფას ბიჭი“ და „ზღვა და ალუბლები“ - მიხედვით)“. საინტერესოა, „რატომ იღწვის რუსეთი ასეთი სიმკაცრით მიჯნის გავლებისა და მისი დაცვისკენ? იმიტომ ხომ არა, რომ მიუხედავად თავს მოხვეულ 90-იანი წლების ორმხრივი შეცდომებისა, ადამიანებს შორის ძალიან სუსტად და კანტიკუნტად აღდგენილმა პროცესებმაც კი ცხადჰყო, რომ მშვიდი თანაცხოვრების პერსპექტივა უკვე გარდაუვლად იკვეთებოდა ორიათასიან წლებში. ამ პერსპექტივის ხილვამ გაავემა დიდი მეზობელი და სწორედ ამ შიშმა დააწყებინა ახალი შეიარაღებული აგრესიის თავგანწირული ტალღაც. სწორედ თავგანწირული, რამდენადაც, საერთაშორისო იმიჯი, ასეთი გამეტებით, მას მანამდე არ გაუწირავს და რომ არა ის რეალობა, რომელიც ურთიერთობების აღდგენის გარდაუვალობას აანონსებდა, ბუნებრივია, არც წავიდოდა მსგავსი თვითდამაზიანებელი შესაძლებლობის გამოყენებაზე“<sup>31</sup>.

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, კავკასიის პრობლემას ერთიან ჭრილში აღიქვამს მწერალი და ამიტომ, მრავალეთნიკურ პერსონაჟებიან სიუჟეტებსაც გააზრებულად და კონკრეტული მნიშვნელობით ჰქმნის რომანში: ქისტების, ერთ-ერთ სოფელ დუმასტურში იმალებოდნენ სავარაუდო მკვლელები, ნათესავი ოსის ოჯახში. ამ ოჯახმა ჯერ ფულის გამო შეიფარა ნათესავი, შემდეგ კი დაშინებულმა ისე გასცა იგი, არც კი დაფიქრებულა. საბოლოოდ, დამკვეთისთვის ცნობილი გახდა, რომ „ოსქართველას“ კვალში ვიღაც უდგა, შესაბამისად, საჭირო გახდა მისი თავიდან მოცილება, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, ორმაგი კოდირების პრინციპით მოქმედებენ დამკვეთები და ჩეჩნების ტერიტორიაზე პოულობენ მიცვალებულებს, რათა მათი

<sup>31</sup> გ.ხორბალაძე .იძულებითი და ბუნებრივი ურთიერთობის ნიუანსები ხელოვნური კონფლიქტის პირობებში (გიორგი სოსიაშვილის ორი მოთხრობის - „ხეფას ბიჭი“ და „ზღვა და ალუბლები“ - მიხედვით).13-15 ოქტომბერი.თბილისი 2020,431-437.



მკვლევლობა ჩეჩნებს დაბრალდეთ. დამკვეთი, რა თქმა უნდა, რუსეთია და ამ ქმედებით აპირებს კიდევ ერთხელ გაამწვავოს ურთიერთობა ქართველებსა და ოსებს შორის, ქართველებსა და ჩეჩნებს შორის. თუმცა, ავტორს სჯერა, რომ ერთი და ორი ადამიანის უზნეო საქციელი არ განსაზღვრავს, არც მთლიანად ერის ზნებრივ მდგომარეობას და არც ერებს შორის ურთიერთობას, მას ბევრად უფრო მყარი საფუძველი აქვს და საგულისხმოა, რომ რომანის მიხედვითაც ამ სამირკველის მოშლაა, ჩრდილოელი მეზობელის მიზანი, ხოლო ამ მიზნისკენ სწრაფვაში რამდენ პროვოკაციას და ფარულ გეგმას ადასრულებენ, სხვა ყველაფერთან ერთად, ამის ძალიან საინტერესო მაგალითებს რომანი „გოდების კედელი“ არაერთს შეიცავს. ჩვენ კი იმიტომ ჩავთვალეთ მიზანშეწონილად ამ საკითხებზე ამ პარაგრაფში მსჯელობა, რომ ეს სიუჟეტები, ფაქტობრივად, უახლესი ისტორიის ლიტერატურულ რეფლექსად გვესახება, რამდენადაც რომანში აღწერილი ამბები ხშირად ამოცნობამდე იდენტურია ზოგიერთი კონკრეტული ამბავისა.

უახლესი ისტორიის არაერთი საინტერესო ფაქტია ასახული რომანში, რომ აღარაფერი ვთქვათ უცნობი ნამდვილი ამბების მხატვრულ ტრანსფორმაციაზე; ნაწარმოებში მწერალი საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებსაც უთმობს ადგილს. მწერალს აღაფრთოვანებს ქართველი ჯარისკაცების სიმამაცე შინდისში, რომელთა გმირობასაც ომის დასრულებიდან მალევე მიუძღვნა გიორგი სოსიაშვილმა ვრცელი მოთხრობა „ჩვიდმეტნი“ (სოსიაშვილი, 2010: ჩვიდმეტნი). აქვე, აღვნიშნავთ რომ, მარინე ცერცვაძე, ნარკვევში „2008 წლის ომის თემა გიორგი სოსიაშვილის მოთხრობებში“, პარალელს ავლებს მარგარეტ დიურასის პროზაულ ნაწარმოებსა - „ნორჩი ინგლისელი მფრინავის სიკვდილი“ - და გიორგი სოსიაშვილის მოთხრობას - „ჩვიდმეტნი“ - შორის. მისი აზრით, ორივე მწერალი ომს აღიქვამს, როგორც ბოროტებას და ამიტომაც წერს ასეთი ტრაგიზმით იმ ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც ომმა გამოასალმა წუთისოფელს(ცერცვაძე, . რომანში კი, გორკა ხაბიერ ელიზონდოს ჩანაწერებში კვლავ ვხვდებით ჩვიდმეტი გმირის ისტორიას: „მტაცებლის წარმატება დროებითია. ეს ამდენი სისხლი, რაც აქ დაიღვარა, უკვალოდ კი არ გაქრა. ხო ნახე, ის რუსები, ერთი დეიდაჩემის ჩემოდანზე წამომხობილი, მეორე ერბოთი სავსე ქილით. ადამიანი ამ

ქვეყანაზე მოხვიდე, იცხოვრო და მერე სხვის მიწაზე ასეთი სიკვდილით მოკვდე... შეადარე ჩვენი ბიჭების თავგანწირვა და მაგათი სიკვდილი, სამარცხვინო, ქალაჩუნური. ჩვენი ბავშვები თავიანთი მამებით ამაყობენ. ოდესღაც ალაღად მოგვიგონებენ, მაგათ შვილებს რა აქვთ სათქმელი, რა ექნებათ მოსაგონებელი, იმიტომ არ აქვს მაგ ქვეყანას მომავალი...“<sup>32</sup> სწორად გამოკვეთს ავტორი სხვაობას, რუსეთი დამპყრობელია და მისი გზა შეუძლებელია სიმართლის გზა იყოს, ასე მიაჩნია მწერალს. ეს აზრი სხვა ნაწარმოებშიც აქვს ჩამოყალიბებული გიორგი სოსიაშვილს და სხვა მწერლებთანაც შევხვდებით, თუმცა რომანის განსხვავებულობა სწორედ მამტაბურობაშია. რუსი დამპყრობლის რეალური სახის ჩვენებაა ავტორის მიზანი, ოღონდ ყველასათვის და ყველა რაკურსით ჩვენება. იყო პერიოდი, რომ მათ ჯარებს საქართველოშიც ერქვათ „მშვიდობის მყოფელები“, იყო პერიოდი, როცა ქართველებსაც არწმუნებდნენ, თითქოს დიდ ძმად და მფარველად მოვლენილიყვნენ, მაგრამ ეს მხოლოდ იქამდე, ვიდრე საქართველოს გარუსების პოლიტიკას მორჩილად მიუყვებოდით, როგორც კი მივხვდით და ხმა ამოვიღეთ, „დიდი ძმის“ ნიღაბი მყისვე საკუთარი ხელით ჩამოიძრო მეზობელმა. ამ ყველაფერზე ჩვენ, რა თქმა უნდა, დამოუკიდებლად ვერ ვიმსჯელებდით ეს ხაზი რომ რომანში არ შეგვენიშნა. მწერალი, როგორც ვთქვით, ქმნის მამტაბურ ტილოს, რომელზეც დიდ ქრონოლოგიურ სივრცეს შლის, უკანასკნელი პერიოდის მოვლენებს მრავალი წახნაგით უჩვენებს მკითხველს და სწორედ მთელს კავკასიას მოიაზრებს მკითხველში. ამდენად, იგი მიაჩნებს, რომ ოსებიც და აფხაზებიც, სწორედ ისე იხილავენ უფროსი ძმის ნიღაბის საკუთარი ხელით ჩამოგლეჯას, როგორც ეს ჩვენ ვიხილეთ, ჯერ კი დინებასავით მიჰყვებიან გარუსების დაგეგმილ პოლიტიკას. ამიტომ, მივიჩნევთ, რომ გიორგი სოსიაშვილი დიდი მამტაბების მწერალია, ის არც მიკერძოებულია და არც მხოლოდ წარსულში მაყურებელი, იგი იმდენად იყენებს არსებულ რეალობას, იმდენად სწორად აანალიზებს მას, საკუთარ მხატვრულ სამყაროში, რომ მომავლის მწერლად გვევლინება. აქ ჩვენი შეფასება უბრალო

---

<sup>32</sup> გ.სოსიაშვილი. „გოდების კედელი“ რომანი ორ წიგნად, წიგნი II.თბილისი 2019, გვ 351.

ეპითეტს არ წარმოადგენს, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ ყოველივეს გარკვეული დროის შემდეგ აუცილებლად გაიაზრებენ აფხაზებიც და ოსებიც, იქნებ ეს რომანიც წაიკითხონ და მაშინ გასაკვირი არაფერია, რომ წუხილის განცდაც დაეუფლოთ იმისათვის, რომ უფრო ადრე არ წაიკითხეს და გაიაზრეს ეს ფრიად საინტერესო რომანი.

## **2. ერთიანი კავკასიის იდეის გააზრება რომანში**

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, რომანი მრავალპლანიანია და არაერთ ამბავსა და შესაბამისად, კონკრეტულ პრობლემატიკას მოიცავს, მაგრამ ის უმთავრესი იდეა, რომელიც სულ გასდევს ამ შესანიშნავ ორტომეულს, ჩვენი აზრით, კავკასიური ერთიანობის იდეაა. რომანი დიდი მოწოდებაა კავკასიელებისათვის სიყვარულისკენ, მეგობრობის განმტკიცებისკენ, ძალთა გაერთიანებისკენ, გამოწვევათა სწორი გააზრებისკენ და მიტევებისკენ. რომანში ქართულ-ოსური, ქართულ-ჩეჩნური, ქართულ ებრაული ურთიერთობების პერიპეტეებია ასახული, თუმცა ზოგადი კონტექსტები აშკარად გულისხმობენ ყველა სხვა კავკასიელ ხალხსაც, რაც აშკარაა და ნათელი. აქ ასახული ერთაშორისი ურთიერთობების ნიუანსები უნდა გავიაზროთ როგორც ცუდი და საუკეთესო გამოცდილების მაგალითები კავკასიაში მცხოვრები ყველა ეთნოსისთვის, რამდენადაც სწორედ ასეთია რომანის პათოსი.

„მწერალმა აფხაზეთის, ლიახვის ხეობის, ჩეჩენი ხალხის ტრაგედია ერთ საერთო იდეას თუ კონცეფციას დაუქვემდებარა, ერთ საერთო არქიტექტონიკულ ყალიბში ხატოვნად ჩამოასხა, საგულდაგულოდ შეკრა და ასე შეასხა ფრთები დასახულ ამოცანას - ჩვენამდე ცხადად მოეტანა საკუთარი მიწა-წყლის, სახლ-კარისა თუ ახლობლების გარეშე დარჩენილ ადამიანთა ენით აუწერელი ტრაგედია.

სადაც არ უნდა ხდებოდეს მოქმედება - ლიახვის აქეთ თუ იქით, აფხაზეთში, პანკისში, ჩეჩნეთსა თუ რუსეთში, ყველგან ერთი ვარამი დაჰყვებოდა პერსონაჟებს, ყველას ერთი სატკივარი აერთიანებს - საერთო მტერი, რომლის მხეცურ, დაუნდობელ ქმედებას ერთადერთი ველური ინსტიქტი წარმართავს - კავკასიელთა სიძულვილი(!). საკუთარი ეროვნება და წარმომავლობა სასჯელად ექცათ კავკასიელებს. სწორედ ეს უდიდესი ტკივილი გამოსჭვივის გიორგი სოსიაშვილის ვრცელი პროზაული ქმნილებიდან<sup>33</sup>. „გოდების კედელი“ - ტკივილისა და რწმენის კავკასიური საგა.

ნაწარმოებში ავტორი ჩეჩენი ჯარაფის და ებრაელი ტატოს მეშვეობით გადმოსცემს იმ მადლიერებას რაც ამ ორ ერს ქართველების მიმართ აქვთ, თუ როგორ ცხოვრობდნენ ქართულ მიწაზე, რომ მათთვის საქართველო მეორე სამშობლოა, სადაც არ უნდა წავიდნენ. მშობლიურ მიწაზეც რომ იცხოვრონ, არასოდეს დაავიწყდებათ ქართველების სტუმართმოყვარეობა: „ ჩვენ ამ ხეობაში გავატარეთ ჩვენი წუთისოფელი. ლიახვის პირზე გავიზარდეთ, ჩვენთვის ესეც წმინდა მიწაა, ესეც სამშობლოა, ჩვენთვის ლიახვიც იორდანესავით არის, აქაც მანანა წვიმს და რძის მდინარეებია. აღთქმული მიწაა იქ არის ადამიანისთვის, სადაც საკუთარ სულს გრძნობა, სადაც ღმერთის არსებობას გრძნობს, აქ ჩვენ ღმერთი ვიგრძენით, სულ ვიგრძენით ამ ხალხმა გვაგრძნობინა, ჩვენმა ხალხმა. ჩვენ უკვე ერთნი ვართ, როგორც ცა არ არსებობს დედამიწის გარეშე და ან პირიქით. ეგრე ვართ ქართველები და ებრაელები. ჩვენ ყველგან ვიჩაგრებოდით, ყველგან ვიდევნებოდით, მხოლოდ აქ არავის მოსტრიალებია სიტყვა, მხოლოდ აქ არავის აღუმართავს ხელი...“<sup>34</sup> ეს იმ იდეალური ურთიერთობის მაგალითია მწერლისთვის, როცა ერთ მიწაზე ცხოვრება დაჩემებას და წართმევას კი არა, თანაცხოვრებას, ერთი სამშობლოს შვილებს ნიშნავს; ასეთივეა ქისტების დამოკიდებულება, რომანში ვკითხულობთ: „ქისტები მდიდარი ხალხი ვართ. სიმდიდრეში ლამაზ- ლამაზ სახლებს და ბევრ ქონებას კი არ ვგულისხმობ. ჩვენი სიმდიდრე ორი სამშობლოა, საქართველო და ჩეჩნეთი, ორი

<sup>33</sup> გ.სოსიაშვილი. „გოდების კედელი“,რომანი ორ წიგნად, წიგნი I.თბილისი 2019, გვ 5.

<sup>34</sup> გ.სოსიაშვილი. „გოდების კედელი“,რომანი ორ წიგნად,წიგნი I. თბილისი 2019,გვ 304-305.

სამშობლო და ჩვენი ადათ- წესები, რომლის გარეშეც ქისტი ვერ ქისტობს. ეს ბედნიერებაც არის და დიდი ტვირთიც. ჩვენ სხვა სადარდებელი აღარც გვაქვს. როცა სამშობლოს ხელიდან გვაცლიან, სხვა რა უნდა გვადარდებდეს. ქისტი ვერასოდეს ვერ იქნება ბედნიერი, ვიდრე ჩეჩნეთსა და საქართველოს ერთი პატარა ჭრილობა მაინც დარჩება.“<sup>35</sup> აი, კიდევ რას ამბობს გ. სოსიაშვილის ქისტი გმირი: „ჩვენ ერთი ბედისანი ვართ, ერთ ტაფაში ვიწყვით ყელტიტველა წიწილებივით. განსხვავებული რწმენა გვაქვს - მე მუსლიმანი ვარ, შენ ქრისტეს მიმდევარი, მაგრამ ერთი სამშობლო გვაქვს. მეც ქართველი ვარ, შეიძლება სისხლით ჩეჩენი ვიყო, მაგრამ ამ მიწაზე დავიბადე და გავიზარდე. მამაჩემი, ვიდრე ალაჰი იხმობდა, სულ ამ სიყვარულს მინერგავდა. ჩვენ ამ მიწამ, ამ ქვეყანამ შეგვიფარა. ჩვენ ერთნი ვართ. ერთი სხეული გვაქვს, ასე მეუბნებოდა მამაჩემი. ეს მიწაა ჩვენი სხეული. კავკასიაა ჩვენი სხეული და ეს ცაა ჩვენი სული, სხეულს გვგლეჯენ და სულს გვხდიან.“<sup>36</sup> ამ პასაჟში კიდევ უფრო ფართოვდება ერთიანობის წრე, რადგან ქისტი პერსონაჟი საერთო ოჯახად მარტო საქართველოს კი არა მთელს კავკასიას მოიაზრებს, რაც, მცდარი არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ავტორის დამოკიდებულებების გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ.

არაა ახალი, რომ დაუმორჩილებლობის, საბრძოლო შემართების, მიწა-წყლის სიყვარულის გამო იყო, რომ ოდითგანვე კავკასიელ ხალხს მტერი არ გამოლევია. „კაცი სიკვდილთან ერთად იბადებოდა და სიკვდილთან ერთად იზრდებოდა. ისე ჰყავდა გაშინაურებული ქართველ კაცს სიკვდილი, ბაქარო რო... გადაჰკრავდა ცოტას და დამთავრდა, ბრძოლაში მიდიოდა. კოლოებივით გვესეოდნენ. ამ ტერიტორიებს ეპოტინებოდნენ. ჩვენი მონობა უნდოდათ, ჩვენსავე მიწაზე მონად უნდა ვყოლოდით. ნასოფლარებად ვაქციეთ, ამოვწყდით, მაგრამ მაინც არ ჩავიმუხლიჩოქეთ, ეგრეც უნდა იყო. კაცი თუ ხარ, ცოლი უნდა დაიცვა, შვილი უნდა დაიცვა, შენს მიწაზე არავინ უნდა აბოგინო, თუ კაცი არ ხარ და მარტო ჭანია მოზვერივით დარბიხარ, გინდა ყოფილხარ გინდა არა. ასეთი არც ცოლს სჭირდება, არც შვილს და არც

<sup>35</sup> გ.სოსიაშვილი, „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად, წიგნი I. თბილისი 2019, გვ. 372-373.

<sup>36</sup> გ.სოსიაშვილი . „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად, წიგნი I. თბილისი 2019, გვ. 338.

მამულს, ხო გაიგე.<sup>37</sup> ეს აბიათარის სიტყვებია და ქართველებს ეხება, თუმცა, ასეთივე ბედი ხვდათ ჩეჩნებს, რომელთაც რუსეთმა დიდი რისხვა დაატეხა, არ დაინდო არც დიდი და არც პატარა, ააოხრა სოფლები, ქალაქები, მაგრამ, მიუხედავად ამ ყველაფრისა, ეს ხალხი სულიერად მაინც ვერ გატეხა; რაც უფრო დიდია აგრესია რუსეთის მიხრიდან, მით უფრო ძლიერდება სულისკვეთება ჩეჩენ ხალხშიც, ამიტომ ამ კონტექსტში ყოველთვის ძალიან ჰგავს აბიათარის და ხასოს მსჯელობა ერთმანეთს: „რაც არ გკლავს, გამლიერებსო. განსაცდელი თუ არ გკლავს, ის ყველაზე დიდი მოძღვარია შენი, იმაზე დიდ რჩევას, დარიგებას ვერავინ მოგცემს, როგორც განსაცდელ გამოვლილი შენი თავი, ანდაზა არსებობს თურაშაულის პატრონზე, ხო გაგიგია? - თავი დავუქნიე. - ეგ ანდაზა, მართლა თურაშაულზე და პანტაზე კი არ არის, ჩაეღიმა ხასოს, საკუთარი თავის შეცნობაზეა. ...აქ, ამ მიწაზე შეიქმნა ეს ანდაზა. რას ნიშნავს მერე? შენში უნდა ეძებო ყველაფერი, საკუთარ თავში უნდა იპოვო, იქ არის თურაშაული, შენს სულში. პანტის ძებნაში, თურაშაული ლპება, სული თუ მიატოვე, ყროლდება, ჩაეღიმა ხასოს .<sup>38</sup>“ ქისტი ხასოს საუბარი თავის შეცნობაზე სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი როლისა და ადგილის გაცნობიერებაზე დაფიქრებისკენ მოწოდება, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე დარდი, ეროვნულ თვითმყოფადობას რომ რუსეთზე დიდი მტერი არ ჰყავს, ესეც დროში გამოცდილი ჭეშმარიტებაა. ისინი ყალბ მფარველად ევლინებოდნენ საბჭოთა ქვეყნებს და ყველა მათგანის ეროვნული თვითმყოფადობა გადასარჩენი გახდა, „მშვიდობისმყოფელად“ შემოგვესაღწნენ საქართველოში და უკანასკნელი საუკუნეები მათზე დიდი ამკლები არ გვყოლია, ფართე ასპარეზზე ხელის მოცარვამ კი უბიძგათ მცირე ერებზე აელოთ აქცენტი და დროდადრო გაეფართოვებინათ „ასპარეზი“ ამიტომ ახლა ოსებს და აფხაზებს „მფარველობენ“, რომლებიც რაც უფრო დიდხანს გააგრძელებენ რუსეთის მფარველობის ქვეშ ყოფნას, მით უფრო მცირე დარჩებათ ეროვნული იდენტობა. ეს არის ის ქვეტექსტი, რაც ჩვენ ამოვიკითხეთ დამოწმებულ ციტატებში და რაც, ბუნებრივია, ავტორისეულ ხედვას წარმოადგენს გლობალურ საკითხებსა და მის

<sup>37</sup> გ.სოსიაშვილი. „გოდების კედელი“. რომანი ორ წიგნად. წიგნი I . თბილისი 2019, გვ 45.

<sup>38</sup> გ.სოსიაშვილი . „გოდების კედელი“. რომანი ორ წიგნად. წიგნი II . თბილისი 2019 , გვ 17.

ნიუანსებზე, ხედვას, რომელიც ნაკარნახევია ფართე ერუდიციიდან, გამოცდილებიდან და ანალიზის შთამბეჭდავი უნარიდან. ამ მოსაზრებას ეყრდნობა ის იდეაც, რაც ჩვენი თემის საკვლევი საკითხია, რომანის ფარგლებში, რადგან მწერალი თვლის, რომ კავკასიაში არეულობა ეთნიკური ნიშნით სხვა არაფერია, თუ არა პრინციპის „გათიშე და იბატონე“ გამოყენების (სამწუხაროდ ზოგჯერ წარმატებული) მცდელობა, ხოლო თუ გათიშვას ვერ მოახერხებენ, მაშინ ყველა ერს აქვს უნარი შეინარჩუნოს ეთნიკურობის და იდენტობის მთავარი ნიშნები, რაც ასევე დრომ და თანაცხოვრებამ პრაქტიკაში გამოსცადა.

ისევე როგორც რომანის სხვა პერსონაჟების შემთხვევაში, რომლებიც უზუსტესად გამოხატავენ სწორედ იმ ტრაგიკული ისტორიის უწყვეტ ჯაჭვს, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება, რომანში პერსონაჟებად გამოყვანილ ბავშვებსაც წაართვეს მომავალი, ბავშვობა, სამშობლო, ახლობლები, მშობლები, ამიტომ პატარა ასაკიდანვე მათი ცხოვრების უმთავრეს მოტივად მტრის წინააღმდეგ ბრძოლა და სისხლის ბოლო წვეთამდე შურისძიება ჩანს. მწერალი, ერთ ადგილას, ნახანძრალ საბავშვო ბაღს გაახსენებინებს რომანის გმირს, რომლის წარმოსახვითაც ტრაგიზმის პიკს ჰქმნის, რადგან ნებისმიერი დაწესებულება შეიძლება ყოფილიყო ნახანძრალი, მაგრამ საბავშვო ბაღს სიმბოლური დატვირთვა აქვს, ეს დაუნდობლობის უსასტიკესი გამოვლინებაა და ავტორიც სწორედ ამ დატვირთვით გაიაზრებს დამწვარ საბავშვო ბაღს: „რატომღაც ის წუთები ამომიტივტივდა თავში, მე და ჯარაფი რო ნახანძრალ საბავშვო ბაღში ვიყავით. ჩეჩნეთის ერთ-ერთ სოფელში. ომი ყველგან ერთნაირია, როგორც სიკვდილი. კვნესოდა სული. სიღრმიდან, სიბნელიდან ამოდიოდა გოდების ბგერები“.<sup>39</sup> ნაწარმოებში განსაკუთრებულ ყურადღებას ჩეჩენი ბიჭის, ჯაბრაილის ისტორია იპყრობს, რომელსაც ომში მშობლები დაეღუპა და მხოლოდ პაპა დარჩა, ისიც ოკუპირებულ სოფელში და პანკისში ჩანოსახლების შემდეგ ხასოსთან და ჯარაფთან იზრდება. საოცარი შთამბეჭდაობით აღწერს ამ პატარა ბიჭის სულიერ სამყაროს გიორგი სოსიაშვილი, თითქოს საკუთარი სულის სიღრმეში

<sup>39</sup> გ.სოსიაშვილი. „გოდების კედელი“. რომანი ორ წიგნად, წიგნი II. თბილისი 2019, გვ. 270.

გამოეტარებინოს სათქმელი. არც თვალების ჩვენებაზე გაკეთებული დიდი აქცენტია შემთხვევითი, ყვირილამდე მეტყველია ჯაბრაილის თვალები, რომელსაც ასევე ძალიან დამახასიათებლად დაგვისურათხატებს ავტორი; ბავშვის თვალებს განსაკუთრებულად შერჩენია ომის ფრაგმენტები, მისი თვალები ველარასოდეს იქნება ისევ ბავშვური, უდარდელი, მოციმციმე, რადგან მას ჩაუქრეს ეს ცელქი ვრსკვლავები, სამშობლო წაართვეს, მშობლები წაართვეს, ბავშვობა წაართვეს: „ისედაც სევდიანი თვალები ჰქონდა, დარდით ჩანისლული, სადღაც ფიქრის სხვენზე დამტვერილი, მივიწყებული ღიმილი იშვიათად მოაკითხავდა. ტკივილი უჩანდა, სხვა ბავშვებისგან განსხვავებული მზერა ჰქონდა, ფიქრით დამძიმებული. არც ცრემლი დამინახავს მის თვალებზე, ჩაყინული ჰქონდა სულში ცრემლი. არადა, ბავშვი ღიმილისა და ცრემლის გარეშე სად გაგონილა, ხალასი ღიმილისა და ბავშვური ცრემლის გარეშე... სულ რო არაფერი გცოდნოდა ამ ბიჭის ოჯახზე, მის მშობლიურ სოფელზე თავს დატეხილი უბედურების შესახებ, შეხედავდი და მარტივად მიხვდებოდი, ჯაბრაილის თვალებიდან ყველაფერს ამოიკითხავდი. მის მზერაში ჩარჩენილიყო ომი, მის მზერაში დაინახავდი დაქცეულ ოჯახს, გაუპატიოსნებელ ცხედრებს, დაცარიელებულ სოფლებს, კვნესისა და ვაების ხმა მოგწვდებოდა. სითბოსა და სიყვარულს ვინ მოაკლებდა ხასოს ოჯახში, მაგრამ მაინც თავისი სახლი ენატრებოდა, თავისი კარმიდამო. წართმეული ბავშვობა მთის იქით დაეტოვებინა. გვიყურებდა და თვალებითგვეუბნებოდა სათქმელს. სევდით ჩანისლულ თვალებში უცნაური სინათლე მოჩანდა, ეს დაბრუნებისა და ვაჟკაცური ვალის მოხდის ჟინი იყო. მეჩვენებოდა, რო, რაც სხვა პატარებს, მის თანატოლებს წლები სჭირდებოდათ, ის დღითიდღე იზრდებოდა, დღითიდღე სხვანაირი ხდებოდა. თითქოს სიმალლეშიც მოიმატა, ხმაც შეეცვალა, იტყოდი რო უფალს დრო მხოლოდ მისთვის აეჩქარებინა, მიზნამდე მისაღწევი დრო. “<sup>40</sup> რა თქმა უნდა, მწერალი არც ამ ბიჭის ტრაგიკულ სახეს ხატავს მარტოოდენ პერსონაჟთა გალერიის მრავალფეროვნებად, რომანი ისედაც მდიდარია განსხვავებული პერსონაჟებით, მაშ რა როლი აქვს ჯაბრაილს? მისი

---

<sup>40</sup> გ.სოსიაშვილი . „რომანი ორ წიგნად,წიგნი II.თბილისი 2019, გვ47-48.



მდგომარეობა იდენტურია ბევრი ქართველი ბავშვის, ჩეჩენის, ოსის, აფხაზის. ცხოვრების სცენაზე იცვლებიან პერსონაჟები, მაგრამ კავკასიის სივრცეს ჯერ-ჯერობით ჩრდილოელი მეზობელი რეჟისორობს, მიუხედავად იმისა ვინ სად რა დოზით ჩართეს შესასრულებლად.

ომი ყველგან ომია, ჩეჩნეთში, საქართველოში თუ სხვაგან, ომი მაინც ყველგან ერთიდაიგივე შედეგს ტოვებს -ტკივილის, სიკვდილის, აოხრებულ სამშობლოს. ჩეჩენ ჯაბრაილს ასევე შეგვიძლია შევადაროთ ქართველი ბიჭი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს აღწერა გორკა ხაბიერ ელიზონდომ. ამ ქართველი ბიჭის სულსაც ომმა თავისი სისასტიკის იარა დააჩნია, მასაც წაართვა ომმა ახლობლები, სახლი, მშობლები... ჯაბრაილისგან განსხვავებით, მან არ იცის რა მოელის, სად უნდა წავიდეს, რატომ დაემართა ეს ყველაფერი. „როგორც მკვლელის სახე გარდაცვლილს, ისე ჩარჩენოდა ომის საშინელება ამ პატარა ბიჭს. როგორც არის დღევანდელი სამყარო, ისეთი ჩანდა ბიჭის ცრემლიან თვალებში... ჯოჯოხეთური დღეები, წუთები, თუ რა დავარქვა... ადამიანის ცხოვრებაში რაც ხდება, ყველაფერი რაღაც მიზეზით და რაღაც მიზნით ხდება. ზოგი რამ თვალის ასახელებად, ზოგი რამ ტკივილის შესაგრძნობად. ყველაფერს თავისი უხილავი კავშირი აქვს. ჯოჯოხეთური დღეები და წუთებიც უნდა შეიგრძნო, ალბათ მშვიდობის ფასი რომ გაიგო“.<sup>41</sup> „გასცქეროდა ბიჭი თეთრი და ლურჯი მანქანებით გადატენილ ვეება ეზოს. ყველა და ყველაფერი წაერთმია მისთვის ცხოვრებას. აღარავისი ესმოდა, არც მისი ესმოდა არავის...“<sup>42</sup> ვფიქრობთ, სრულიად აშკარაა და თვალსაჩინო ამ ორი ბავშვის განცდათა კავშირი და, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ეს კავშირი ავტორის ჩანაფიქრს წარმოადგენს, რათა შექმნას ერთიანი სურათი პრობლემისა და მამტაბურ ჭრილში დაგვანახოს პრობლემის არსი; გორკა ხაბიერ ელიზონდოს ჩანაწერებიდან ასევე ერთი ძალიან გულში ჩამწვდომი მონაკვეთია ნაწარმოებში, პატარა დევნილ გოგონაზე, რომელსაც თავისი, ხეობაში დატოვებული, სახლის გასაღები გულზე ჩამოკიდებული დაჰქონდა, თუმცა რაც კოსმოსიდან გადაღებულ ფოტოებში ნახა, რომ მისი სახლი

<sup>41</sup> გ.სოსიაშვილი . „გოდების კედელი “ რომანი ორ წიგნად,წიგნი II.თბილისი 2019,გვ 354.

<sup>42</sup> გ.სოსიაშვილი . „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად,წიგნი II.თბილისი 2019,გვ 373.

აღარ არსებობდა, გასაღები მუზეუმს გადასცა. გასაღების გადაცემა თითქოს იმედის დაკარგვას ნიშნავს, თითქოს ეს იმედის დაკარგვაც სწორედ ბავშვობის დასასრულია, ჩვენი აზრით. ზოგადად, ეს პერსონაჟები მხოლოდ საკუთარ სახეს, საკუთარ იდენტობას არ ასახავენ, ისინი განზოგადებული სახეები არიან ყველა იმ ბავშვისა, ვისაც ომის უბედურებამ ბავშვობა წაართვა, ანუ ბავშობაწარმეული ბავშვების ჩვენებაა მწერლის მიზანი, რამდენადაც ასეთი ბავშვები იმდენად გაგვიმრავლა ვერაგმა მტერმა, რომ მწერლისთვის ეს პრობლემის ერთი უდიდესი მხარეთაგანია და, ბუნებრივია, რომ იგი ცდილობს ამ ტკივილის მკითხველამდე მიტანას, თანაც ისე, რომ არ იყოს მიკერძოებული, ის ყველას ჭირისუფალია, ვინც ომის უბედურებამ დაჩაგრა და არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ერის - თუნდაც საკუთარის. აქვე გვინდა გავიხსენოთ და პარალელი გავავლოთ გიორგი სოსიაშვილის მოთხრობასთან „ქვიშის წლები“. ეს მოთხრობა მთლიანად ბავშვობაწარმეული ბავშვების ტკივილს შეეხება, საკუთარ ოკუპირებულ ეზოში დაყრილ ძველ ქვიშაში ნაპოვნი სათამაშო უცნაურად მძაფრ ემოციას აღძრავს პერსონაჟში და ეს სწორედ იმიტომ რომ ქვიშის და სათამაშოს სიმბოლური ნაერთი თითქოს ბავშვობის შეწყვეტის კონკრეტულ წამს ინახავდეს.(სოსიაშვილი, „ქვიშის წლები“ 2020)

„ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფიაო, ეგრეა ვარდი მოვკრიფეთ, ხელები დავისისხლიანეთ, მაგრამ ეკლების ცლაში ის ვარდი მიგვავიწყდა, ფეხით შევდექით, მხოლოდ დასისხლიანებული ხელები შეგვრჩა. მეორედ უნდა მივადგეთ ეხლა სხვა ვარდს, შეიძლება აქაც იგივე დაგვემართოს, ან ვარდის მოწყვეტის ცილაობაში ყვავილი სადღაც დავარდება. ვიღაც ფეხით გადაუვლის, ისევ ეკლებით დასერილი სისხლით მოისარგლული ხელები დაგვჩება.“<sup>43</sup> ამ შემთხვევაშიც ვფიქრობთ, რომ მწერალი კვლავ მამტაბურად ხედავს საკითხს, ალეგორიულად ვარდი რა თქმა უნდა სამშობლოა, თუმცა ისიც აშკარაა, რომ რომანის კონსტექსტის გათვალისწინებით, ვარდში შესაძლოა სრულიად კავკასია მოიაზრებოდეს, იმდენად, რამდენადაც „მოწყვეტის ცილაობა“ ნახსენები, ცილაობა, რომელიც ვარდს სინამდვილეში

<sup>43</sup> გ.სოსიაშვილი „„გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად, წიგნი II. თბილისი 2019, გვ 307-308.

ყვავილებს აყრევიანებს. ზოგადად უნდა ითქვას, რომ მეტაფორული აზროვნება განსაკუთრებით გამოარჩევს „გოდერძის კედელს“. მწერალი, მაშინაც კი, როდესაც ერთ-ერთ ერზე საუბრობს, ხშირად სწორედ ისეთ კონტექსტს შეარჩევს, რომ ყველა კავკასიურ ერს თანაბრად ერგებოდეს. ჩვენი წინაპრების სისხლის ფასად მოპოვებულ თავისუფლებას საფრთხეში ვაგდებთ, მათ მიერ გაწეულ ღვაწლს წყალში ვყრით, სხვისი მოპოვებულის შენარჩუნებაც კი გვიჭირს, ერთმანეთს ხელებში შევცქერით, ისევ სხვების ხარჯზე გვინდა მშვიდობიან ქვეყანაში ცხოვრება. არასოდეს გვიფიქრია ცნობილი ანდაზის სახელზე „ძალა ერთობაშია“. არ დავმდგარვართ ერთმანეთის მხარდამხარ“<sup>44</sup>. „ძალა ერთობაშია“ და „ერთმანეთის მხარდამხარ დგომაც“ კიდევ ერთი გამოძახილია კავკასიური ერთიანობის იდეისა, მიუხედავად იმისა, რომ ციტატაში არც ერების ჩამონათვალია და არც დაკონკრეტება კავკასიისა. „ყველას თვალეში იკითხება მათი ისტორია, მათი ქვეყნის თავგადასავალი. შეიძლება გააჩერო ადამიანი, თავისი ქვეყნის წარსული ხეირიანად არ იცოდეს, მაგრამ თვალეში ჩახედავ თუ არა, მაშინვე მიხვდები, მრავალსაუკუნოვანი გოლგოთა აქვს გამოვლილი და ის აღმართი ჯერ არ დასრულებულა. დალლა კი ემჩნევათ. ეს მათი მეზობლებისთვისაც არ არის ძნელი შესამჩნევი.“<sup>45</sup> წინა პასაჟს რომ სწორედ ვიაზრებდით ამის დასტურია ეს მორიგი ციტატაც, ვინაიდან ქვეყნის დარდით თვალეზდასევდიანებულ ადამიანებს სწორედ იმ ხალხის წიაღში ხედავს მწერალი, ვისაც ეს რომანი შეეხება. თანაც, აქ უკვე მიმართებაც აშკარაა, პერსონჟი კონკრეტულ ერზე კი არ საუბრობს, ის გარკვეულ სამეზობლოს ახსენებს და, რა თქმა უნდა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრული უფლება გვაქვს ამ სამეზობლოდ კავკასია ვიგულისხმოთ.

<sup>44</sup> გ.სოსიაშვილი „გოდერძის კედელი“, რომანი ორ წიგნად, წიგნი II. თბილისი 2019, გვ 194.

<sup>45</sup> გ.სოსიაშვილი „გოდერძის კედელი“, რომანი ორ წიგნად, წიგნი II. თბილისი 2019, გვ 342.

## თავი IV. საერთო ინტერესები მტრობასა და მეგობრობაში

### 1. ქართველებისა და ოსების საერთო გამოწვევები რომანის მიხედვით

როგორც ცნობილია, ქართველ და ოს ხალხს უძველესი დროიდან მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა. ამ ურთიერთობების გაღრმავებას კიდევ უფრო ხელს უწყობდა შერეული ქორწინებები, ტერიტორიული სიახლოვე და ა.შ ნაწარმოებში განსაკუთრებულად მკაფიო და გულშიჩამწვდომ ქართულ-ოსურ ურთიერთობის მაგალითს წარმოადგენს ქართველი ბაქარისა და ოსი ბათოს ურთიერთობა. ისინი ბავშვობის მეგობრები არიან და ვერანაირმა გარემოებამ ვერ შეძლო ამ სიყვარულის და ერთობის გაწყვეტა. იმ დროს, როდესაც მთელი ქვეყნისთვის წინააღმდეგ იქცა რუსების მიერ გავლელული მავთულხლართები, ამ ორი მონათესავე სულისთვის ესეც ვერ გახდა შემკავებელი ძალა: „ომი იმათთვის არი, ჩემო ბაქარ, ვისაც ჯიგარი არ გააჩნია, თორემ ჩვენ რა ფეხებს მოგვჭამს ომი. ჩვენს ძმობას თუ არაფერი შეემატება, არაფერი დააკლდებაო, მეტყოდა ხოლმე ბათო.“<sup>46</sup> ბათო, ოსების იმ ნაწილს ეკუთვნის, ვინც ჯანსაღად ფიქრობს ამ ამბავზე, იმ ოსებს მიეკუთვნება, ვისი გონების არევაც ვერ შეძლეს. იგი ხვდება, რომ ამ ამბებმა კარგი არავის არაფერი მოუტანა, გარდა ერთისა და ეს ერთი რუსეთია, რომელმაც ისარგებლა მის მიერვე დათესილი შუღლით და მხოლოდ საკუთარ ინტერესებს მორგო ქართველებისა და ოსების ურთიერთწაქეზება. „ჩვენი ხელით ავაშენეთ ციხე, უფრო სწორად აგვაშენებინეს. რას ვაკეთებდით, გონებაზე არ ვიყავით. ავაშენეთ, შემოვლობეთ, ეკლიანი მავთული შემოვარტყით და იმ ჩვენს აშენებულ ციხეში ჩვენვე გავხდით ტუსაღები. აბა სხვა რა ჰქვია ამას... საკუთარ თავზე ცდებს ვატარებინებთ მაგ უპატრონოებს, დავძრწივართ ეგრე გამოცარიელებულ სოფლებში და, რა გვინდა

<sup>46</sup> გ.სოსიაშვილი. „გოდების კედელი“. რომანი ორ წიგნად, წიგნი II. თბილისი 2019, გვ 411.

ჩვენც არ ვიცით... ჩვენც ბევრი შეცდომა დავუშვიტ. სიმთვრალეს სიფხიზლე მოსდევს, ბაქარ - ჩაელიმა ბათოს.“<sup>47</sup> ასე გაიაზრებს გიორგი სოსიაშვილის გმირი შექმნილ ვითარებას და რთულია არ დაეთანხმო, რომანში ჩანს იმედი, თითქოს ბათოს და ბაქარს სახით მწერალი განზოგადებულ შესაძლებლობებს გვაჩვენებდეს; რეალობაც ასეთია და რომანშიც მარტივად იკითხება, რომ სამყაროსგან მოწყვეტილი კუნძულივით დარჩა საქართველოს ოკუპირებული ნაწილი, გარე სამყაროსთან ყოველგვარ ურთიერთობას მოკლებულეებს, ერთადერთი პერსპექტივა რუსეთთან მიჯაჭვულობა აქვთ, რაც ბუნებრივია არც თუ ისე გრძელვადიან პერსპექტივაში მათ სრულ გარუსებას და იდენტობის დაკარგვას შეუწყობს ხელს. ზუსტად ამას ჩივის ბათოც რომანში, რადგან მას კარგად ესმის მოახლოებული საფრთხე, ეროვნული იდენტობის დაკარგვისა და ეს საფრთხე ისე აქვს წარმოჩენილი ავტორს, რომ მის სიმძიმეს ქართველი ბაქარი და ოსი ბათო თანაბრად განიცდიან, რადგან ჩვენი აზრით, ავტორის ჩანაფიქრი სწორედ იმას გულისხმობს, რომ კავკასიის მთავარი ხიზლი არა მისი ეთნიკური ჯგუფების ჩაქრობაში და ურთიერთშთანთქმაში, არამედ, მრავალფეროვნებაშია. გულწრფელ ურთიერთობას შეუძლია იმ ჩატეხილი ხიდის გამთელება, რაც ოსებსა და ქართველებს შორის ოდესღაც იყო. „ნუ გემინია ყველაფერი კარგად იქნება მთავარია, რომ გული არ არის გაციებული. მაგათი მთავარი მიზანი სწორედ ეგ იყო, რო, როგორმე სიყვარული მოეკლათ. მაგრამ ეგ იოლი ამბავი არ არის. სულ თვალწინ მიდგას ჩვენი ბავშვობა. ჩვენი ცხოვრების ყველაზე საუკეთესო წლები, ერთმანეთს შევახარჯეთ, გულში ისე საიმედოდ გვაქვს სიყვარული შენახული, იქ ვერაფერი შემოაღწევს, იმ ადგილს ვერ დაბომბავენ, ის ადგილი მიუწვდომელია. მათთვის, ვინ ჩვენი სისხლის ტბორების ყურებით ტკბება. იმისი მეშინოდა ვაი თუ მიზანს მიაღწიეს ერთი კაციც აღარ დარჩა ისეთი, ვისაც ძველი სიყვარული შერჩა მეთქი, გული მიკანკალებდა, არ დაგიმაღავ, შენზეც ეგრე ვფიქრობდი. ისევ ის ხარ... სხვა დანარჩენი მეორეხარისხოვანია. ბევრი ცრემლი და ტკივილია ჩვენს შორის დაღვრილი, შედედებულ სისხლში გვიდგას ფეხი, მაგრამ

<sup>47</sup> გ.სოსიაშვილი. „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად, წიგნი II. თბილისი 2019, გვ 272.

მთავარი მაინც ის არის, რაც შენს სიტყვებში ვიგრძენი, მონტრებაა მთავარი. ეს დიდი გამოცდა ჩვენი ძმობის გამოსაცდელად მოგვიწყო, ალბათ უფალმა.“<sup>48</sup> დღეს არსებული რეალობის მიხედვით, იქნებ ვინმეს ფანტაზიის სფეროდან ეგონოს ასეთი ძმობა - მეგობრობა ქართველისა და ოსი თანაშემწეობისა, მაგრამ უტყუარი ფაქტია, რომ მეგობრობაც იყო, ნათესაობაც, მოყვარობაც და ქართულ - ოსური ოჯახები ძალიან ხშირად შეგხვდებოდათ, რაც ბუნებრივია, პირველყოვლისა, სიყვარულის შედეგად იქმნებოდა და თუ მტრობისა და სიძულვილის, თავისთავად, სხვათა ჩაურევლად ექნებოდა ადგილი, ბუნებრივია, სიყვარულის ამდენ უტყუარ გამოვლინებას ადგილი ვერ ექნებოდა. გიორგი სოსიაშვილი არაფერს არ იგონებს ფანტაზიის სფეროდან, ის უბრალოდ გვახსენებს- საიდან მოვდივართ, და როგორ შეგვიცვალეს დამოკიდებულებები თანდათანობით, როგორ გამოაცალეს საძირკველი ორი ერის ჰარმონიული თანაცხოვრების შესაძლებლობას. მწერალს მიაჩნია, რომ თუკი ოსები თავს დააღწევენ გარუსების საფრთხეს, მაშინ ისევ არის შესაძლებელი იმ საწყისებთან დაბრუნება, როგორც “წიგნის სუფთა ფურცლიდან“. ბათირას ძმაკაც წუტოს საქციელიდან გამომდინარეც კარგად ვხედვთ, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებს და ოსებს. წუტო თავისი ქართველი მეზობლის- დათას სახლს იცავდა დაწვისგან ომის დროს. ენანებოდა თავისი ტკბილი, ქართველი მეზობლის ნაშრომი დასაწვავად. კიდევ რამდენი წუტოსნაირი ოსისა და დათასნაირი ქართველის ტკბილი მეზობლობა მოსპო ამ ომმა, ღმერთმა იცის. ბუნებრივია, ოსებს შორის ახლა უკვე არიან ადამიანები, რომელთაც ქართველების ხსენებზეც კი ზიზღი უდგებათ თვალებში, როგორც რომანის პერსონაჟებს ხაზბის და ჩერმენას. მათი შვილები იმსხვერპლა ომმა, რატომ ან ვის გამო? მათი გონება ამდენს ვერღარ აანალიზებს, ისინი დაპროგრამებულებივით აზროვნებენ, სწორედ ამით სარგებლობს მტერი და შვილმკვდარ მამას ეუბნება, რომ შვილი ქართველმა მოუკლა, შესაბამისად სძულს მას მთლიანად ქართული მოდგმა. მაგრამ რომანში ასევე ჩნდება პერსონაჟი ოსი ბეგო, რომელსაც მხედრიონელებმა მოუკლეს შვილი, მაგრამ ხვდება, რომ მისი

---

<sup>48</sup> გ.სოსიაშვილი. „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად, წიგნი II. თბილისი 2019. გვ.263.

შვილის მკვლელები განზოგადებულად, ქართველებად არ უნდა აღიქვას, მას ძალუმს გაიაზროს, რომ უდანაშაულო ადამიანის მკვლელი ქართველი ყველაზე დიდი მტერი სწორედ ქართველისთვისაა, ისევე როგორც ბოროტების მსახური და მკვლელი ოსი ან ჩეჩენი ვერ იქნება საკუთარი ერის სახე და მისთვის სიკეთის მომტანი: „ჩემი ბიჭი ყოფილიყვეს უკანასკნელი, ამის სისხლით დამთავრებულის ეს უბედურება.“<sup>49</sup> - ამბობს ბეგო და ამით ავტორი გვეუბნება რაოდენ მნიშვნელოვანია, მტერს არ მივცეთ ჩვენით მანიპულაციის უფლება.

„მიუხედავად იმისა, რომ რომანი ძირითადად მაინც ოსურ/რუსულ/-ქართულ საომარ დაპირისპირებაზე აიგო, ნაწარმოებში არც ერთი სიტყვით, არც ერთი ფრაზით არ არის ოსი აუგად მოხსენიებული. მხოლოდ სინანული გასდევს ნაწარმოებს ფონად, რომ სასტიკად მოტყუვდნენ ჩვენი ოსი ძმები, რომლებთანაც, დიდი ხანია, სისხლისმიერი ერთობა გვაკავშირებს, მოტყუვდნენ და, შეცდომაში შეყვანილებს, გონება აურიეს. ნაწარმოებში, პერსონაჟთა პირით, ხმამაღალი გოდება გაისმის ჩვენი მიწა-წყლისა და თანამომძეების დაკარგვის გამო.“<sup>50</sup> „გოდების კედელი“ - ტკივილისა და რწმენის კავკასიური საგაა, რომანში მკვეთრად ჩანს ისტორიული პერიპეტეები არსებული სიტუაციისა, რუსეთმა კავკასია დაახეიბრა, არაერთ გეოგრაფიულ ლოკალზე კიდევ ააოხრა, გაჩნდა ნასოფლარები და რაც ყველაზე გულსატკეპნია, საკუთარ სახლებში ხალხი ან დევნილად ან ტყვედ გადაიქცა; საქართველოს ტერიტორიაზე გაბმული მავთულხლართებიც არა მარტო ქართველების შევიწროვება, საერთო შევიწროვებაა ქართველებისა და ოსების, ქართველებისა და აფხაზების. რუსეთის ჩარევა რომ არა, რამდენი ოსი ან აფხაზი გადმოვიდოდა სიამოვნებითა და სიხარულით ძველი მეზობლის, ბავშვობის მეგობრის, ნათესავისა სანახავად, მაგრამ ამის უფლება მათაც შეზღუდული აქვთ. გადამწვარი ნასოფლარი რომ ჩანს შენს თვალსაწიერში, შენი საცხოვრებლის სიახლოვეს, რა ეროვნებისა და სულისკვეთებისაც არ უნდა იყვე, განვითარებული დასახლების ხილვას არჩევ, ნასოფლარების თემა კი მართლაც მტკივნეულია რომანში:

<sup>49</sup> გ. სოსიაშვილი „გოდების კედელი“.რომანი ორ წიგნად,წიგნი I.თბილისი 2019, გვ 92.

<sup>50</sup> გ.სოსიაშვილი„გოდების კედელი“.რომანი ორ წიგნად ,წიგნი I.თბილისი 2019,გვ 11.

„ნასოფლარები, რომ გაჩნდება ქვეყანა ხეიბრდება. დახეიბრებამდეა სიფრთხილე საჭირო. ველარც გედიკო დაიბრუნებს თავის დაკარგულ მარჯვენა ფეხს და ველარც ის ჩვენი სოფლები გაცოცხლდება და აჟრიაშულდება. მთავარი ის არ არის, კიდეც არ მოგვემატოს ხეიბრობა ან თვალი არ ამოვითხაროთ ან ხელი არ მოგვწყდეს.“<sup>51</sup> ნასოფლარებად გადაქცეული ტერიტორიები ქართველი ბაქარის ტკივილიცაა და ოსი ბათოსიც, რომელიც ბაქარზე არანაკლებ განიცდის ნასახლარისა თუ გაციებული კერის ხილვას: „ეკლიანი მავთულები გაგვიტარეს სულში, თუ დროზე არ განთავისუფლდები,გამოიცალე ეს მავთული, ზედ მიხორცდება, მერე მისი გამოცლა შეუძლებელი იქნება. ხეზე მიხორცებული მავთულები მინახავს, ხე რომ იზრდება და ზედ შემოტარებული მავთული მისი ნაწილი ხდება. ველარც გამოაცლი ხე თუ არ მოჭერი. ამიტომაც გაგვიყარეს სულში ეს საშინელი ეკლები. დრო გადის თანდათან ვეჩვევით ღმერთო.“<sup>52</sup> - მწერლის ეს ნარატივი ასი პროცენტით განამტკიცებს ჩვენს, ზემოთ წარმართულ, მსჯელობას, ამასთან, არ შეიძლება აღნიშვნის გარეშე იქნას დატოვებული, რომ გიორგი სოსიაშვილი მავთულხლართს აღიქვამს არა ხელოვნური საზღვრის დაფიქსირების საშუალებად, არამედ, პირველ ყოვლისა, სულში გატარებულად. აქაც, რა თქმა უნდა, ერთიანობის კონტექსტია შენარჩუნებული და მავთულხლართი დანახულია არა როგორც მარტოდენ ქართველთა პრობლემა, არამედ კავკასიური საწუხარი, რამეთუ იგი პირველ რიგში ხელოვნური დაყოფის სიმბოლოა და არა იურიდიული საზღვარი. იმავე ციტატაში გვინდა ყურადღება გავამახვილოთ შედარებაზე ერებს და მავთულხლართსა და ხეზე შემოვლებულ მავთულს შორის. ჩვენ მივიჩნევთ, რომ შედარება ღრმად ფილოსოფიურია და რაც მთავარია, უზუსტესად გამოხატავს პრობლემას, როგორც პრაგმატული თვალსაზრისით, ისე მხატვრულ ფორმატში. აქვე, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ბაქარის მოგონება, იგი იხსენებს ბავშვობისდროინდელ წაქცევას, როდესაც პაპა ადგომაში იმ მოტივით არ დაეხმარა, რომ წაქცეულმა შვილიშვილმა წამოდგომა თავად ისწავლოს, არადა წაქცეულ ბაქარს სისხლი სდის სახეზე და პირშიც ჩასდის ეს

<sup>51</sup> გ.სოსიაშვილი. „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად, წიგნი I.თბილისი 2019, გვ 46.

<sup>52</sup> გ.სოსიაშვილი. „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად, წიგნი II.თბილისი 2019, გვ 264.



სისხლი და აქ არის ერთ-ერთი საკვანძო ფრაზაც, რომელსაც მთავარი გმირი ამბობს „გავძეხი ჩემი სისხლით.“<sup>53</sup> - მივიჩნევთ, რომ ამ ფრაზის უყურადღებოდ დატოვება დიდი შეცდომა იქნებოდა ჩვენის მხრიდან, რადგან მწერალი ამ სამ სიტყვაში დიდ შინაარსს დებს და გულისხმობს იმ ქართულ-ოსური და ქართუ-აფხაზური ურთიერთობების ხელოვნურ და ნეგატიურ ნაწილს, რომელიც წაქცეულ ყველა ჩვენგანს წაქცეულ მდგომარეობაში გვამყოფებს და საკუთარი სისხლით გვანაყრებს.

## 2. ქართველებისა და ჩეჩნების საერთო გამოწვევები რომანის მიხედვით

ჩეჩენ ერს ქართველებთან მრავალსაუკუნოვანი მეზობლობა, მჭიდრო ისტორიული და კულტურული სიახლოვე აკავშირებს. ეს ურთიერთობები საერთო ადათ-წესებით, გენეტიკური ნათესაობით და საერთო კავკასიური წარმომავლობითაც არის განმტკიცებული. რომანში კი ეს წარმოდგენილია ქართველი ბაქარის და ჩეჩენი ჯარაფის ძმადნაფიცობის ამბით. ჩვენი აზრით, ეს ორი პერსონაჟი ქართველი და ჩეჩენი ერის ღირსეული საზოგადოების სახეს წარმოადგენენ, იმ ხალხებისა, რომელთაც იციან ვაჟ-კაცობის, ერთგულების, პატრიოტობის, ადამიანური ღირებულებების ფასი, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. ნაწარმოებში ნათელია, თუ როგორ პატივს სცემენ ისინი ერთმანეთის ადათ-წესებს და სარწმუნოებას: „წმინდა გიორგის ძველთაძველ ხატს მივაშტერდი. ისეთი განცდა მქონდა, დაკეტილ ტაძარში ჩემს შესვლას ელოდა მძლეეთამძლე მხედარი. აბიათარი გამახსენდა, სულ იმას ამბობდა, როგორ იცავდა ყველა განსაცდელში თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდი. - ქაქუცას შემოწირული ხატია, თქვა ჯარაფმა. წასვლის წინ

---

<sup>53</sup> გ.სოსიაშვილი. „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად, წიგნი I.თბილისი 2019, გვ 28.

აქ ილოცა თურმე, ეს ხატი ჩოლოყაშვილების საგვარეულო ეკლესიიდან გადმოიტანეს და ჯოყოლოს წმინდა გიორგის შესწირეს. დავიჩოქე და ვემთხვიე. მეგონა ცოცხალ არსებას შევახე ბაგეები. „ღვაწლით შემოსილო, დიდო მოწამეო გიორგი“ თითქოს პაპაჩემის ხმა ჩამესმა. ტაძრის ეზოდან გამოვედით თუ არა, მინარეთიდან ალაპის სადიდებლად აღვლენილი ლოცვა მომწვდა. ენით უთქმელი სიტბო და სიყვარული ვიგრძენი. აქეთ წმინდა გიორგის ტაძარი, ცოტა იქით მინარეთი... უცნაურად ერწყმის ყველაფერი ერთმანეთს და საბოლოოდ სიყვარულით გვაკვსებს.“<sup>54</sup> ამ პასაჟის მიხედვითაც, მწერალი სწორედ კავკასიის მრავალფეროვნების ხიბლს უსვამს ხაზს, ეს არის სივრცე, სადაც მაჰმადიანების და მართლმადიდებლების თანაცხოვრება საინტერესოა და არა საქიშპო, ეს არის განსხვავებულობის ეგზოტიკა, რომელიც სინამდვილეში სამყაროს ერთიან აღქმას განაპირობებს, რადგან აქ შეიძლება ტაძრიდან გამოხვიდე და მეჩეთს გაჰხედო ან პირიქით, მეჩეთში აღვლენილი ლოცვის შემდგომ კრძალვით ჩაუარო ტაძარს.

რომანში ავტორი არაერთხელ ამახვილებს ყურადღებას და მოიხსენიებს წინაპრებს, მეტიც, ჩვენი აზრით, თავად ის გარემოება, რომ რომანი შვილიშვილის ამპლუიდან გაგვაცნობს მთავარ გმირს, რომელიც, პირველ ყოვლისა, პაპისადმი დამოკიდებულებაზე, პაპის აღზრდის მეთოდებზე, პაპის თავს გადახდენილ ამბებსა და პაპისეულ მორალზე საუბრობს, არ არის შემთხვევითი და არც მარტოდენ ამბავის განვრცობას ისახავს მიზნად. მწერალი, პირველ რიგში, სიმბოლურად, სწორედ იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ ჩვენი ამბავი, ჩვენს წინაპრებში იღებს სათავეს და ფესვებს, ხოლო თუ ფესვებს მოვწყდებით სრულ დაკარგვას გვიქადის; მწერალი თვლის, რომ ჩვენი წინაპრები მოტივაციას უნდა წარმოადგენდნენ მომავალი თაობისთვის, იმ თაობისთვის, რომელთაც დაკარგული აქვთ ბრძოლის უნარი, სამშობლოს სიყვარული, იმ თაობისთვის, ვინც ზოგჯერ იუდასავით, ოცდაათ ვერცხლად ჰყიდის სამშობლოს, წინაპრების სისხლის და ძვლების ფასად რომ მოვიდა

<sup>54</sup> გ.სოსიაშვილი . „გოდების კედელი“. რომანი ორ წიგნად, წიგნი II.თბილისი 2019, გვ 14-15.

ჩვენამდე. აკი ასე იტყვის ერთ-ერთ მონაკვეთში აბიათარი: „სხვანაირი წინაპრები გვყავდა, ბრძოლისთვის გაჩენილები, დასაღუპად გაჩენილები. კაცმა სიკვდილის დრო და ადგილი თუ არ იცის... მოხუცი კაცი, რომ წევს და სიკვდილს ელოდება. ამაზე საშინელება რა არის. აბა თქვი ხომ მეთანხმები.“<sup>55</sup> ამ მონოლოგით აბიათარი სიკვდილის შიშის დათრგუნვის რეცეპტს სთავაზობს მკითხველს, სიკვდილი გარდაუვალია, ამიტომ აქ კითხვა არ არსებობს, ან უადგილოა შეკითხვა „მოგკვდები თუ არა?“ სწორი კითხვაა „როგორ მოკვდები?“ მებრძოლი, სამშობლოსთვის თავშეწირული, ღირსეული ცხოვრებით მცხოვრები, ღირსების სადარაჯოზე მდგომი ადამიანი თუ მიზანს ეწირება - ეს გამარჯვებაა და არა მარცხი.

„საბაწმინდაში წასულა თურმე მარტოდმარტო. ლეკიანობა იყო, მტერი რო შემოვიდოდა, კომკებზე ცეცხლს აგიზგიზებდნენ ხოლმე, რო ერთმანეთისთვის მტრის შემოსვლა ემცნოთ და ხალხი გაეხიზნათ. მშვიდი ძილი როდის გვქონია. მათმა სიფხიზლემ მოგვატანინა სული თორე, ჩვენისთანა დოყლაპიები ქვეყანას აქამდე ვერ მოიყვანდნენ. ჯანთან ერთად გონებაც გალესილი ჰქონდათ.“<sup>56</sup> - ესეც წინაპრების შექებაა, რომლებსაც მშვიდი ძილი არ ქონიათ, მაგრამ მათი გამარჯვება სწორედ იმაშია, რომ შთამომავალმა ასე მოიხსენოს, როგორც აბიათარი (უკვე თავად წინაპრებისათვის შემზადებული შთამომავალი) იხსენიებს. წინაპართა უპირატესობაზე ამახვილებს ყურადღებას ჩეჩენი ხასო - „ჩვენი წინაპრები სხვანაირები იყვნენ, სხვანაირები, სულ ვფიქრობ ხოლმე, ადათი, ტრადიცია გრძელდება, წესებს ვინ დაარღვევს, მაგრამ ისინი მაინც სხვანაირები იყვნენ. მეშინია კიდევ უფრო არ ჩანელდეს ის ცეცხლი, რაც მათში ენთო. ღმერთი ანთებს ადამიანებში ცეცხლს. კენჭი რომ კენჭია, ისიც რაღაც დანიშნულებისთვის გააჩინა ალაჰმა და, როცა ადამიანი ამ გზას გვერდს უვლის, უზენაესს შორდება.“<sup>57</sup> - ნიშანდობლივია, რომ ხასოც ჭარმაგი კაცია, ისიც ახალგაზრდას მოძღვრავს და მასაც ზუსტად ისეთი საწუხარი აწუხებს, როგორც აბიათარს. წინაპრების სულის ცეცხლის განულება

<sup>55</sup> გ. სოსიაშვილი. „გოდების კედელი“. რომანი ორ წიგნად, წიგნი I. თბილისი 2019, გვ 40.

<sup>56</sup> გ. სოსიაშვილი. „გოდების კედელი“. რომანი ორ წიგნად, წიგნი I. თბილისი 2019, გვ 42-43.

<sup>57</sup> გ. სოსიაშვილი. „გოდების კედელი“. რომანი ორ წიგნად, წიგნი II. თბილისი 2019, გვ 5.

ადარდებს ქართველ ბრძენკაცსაც და ქისტსაც. ერთნაირია მათი ხედვები მტერთან მიმართებით, ყოფით პრობლემებთან მიმართებით, სამშობლოსთან დაკავშირებით. ამ ორი პერსონაჟის პარალელი კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის ქართულ-ქისტური ამბის მნიშვნელობას. ჩვენი აზრით, ავტორის ჩანაფიქრით, ამ ორი პერსონაჟის მიღმა ხშირად კრებსითად იგულისხმებიან ქართველები და ჩეჩნები და არც ის არის შემთხვევითი, რომ ზოგიერთ მონაკვეთში ჩნდება შთაბეჭდილება, თითქოს ისინი ერთმანეთის პროტოტიპებს წარმოადგენენ. ესეც ავტორის ჩანაფიქრი, ამკარად, რათა სწორედ პერსონაჟებით გაუსვას ხაზი ერთიანი კავკასიის მნიშვნელობის იდეას რომანში.

რომანის ერთ პასაჟში, პერსონაჟი ასე საუბრობს ჩეჩნების შესახებ: „ამათი აქ გაჩერება არ შეიძლება. როგორც არ უნდა დამთავრდეს ეს ომი, ესენი ეგრე იოლად არ გატყდებიან. რაც აქ ერმოლოვმა სისხლი ჩააქცევინა რუს ჯარისკაცებს... სადაც აგვაფეთქეს იმ სოფელში ტანკი გავაჩერეთ ყვებოდა დაჭრილი რუსი. ბავშვები იდგნენ ჩეჩენი ბავშვები. თავი გააქნია ჯარისკაცმა. ბავშვებიც, როგორ ჰყავთ გამოზრდილი. იმ ჩეჩენი ბიჭის სახე არასოდეს დამავიწყდება, მისი ცეცხლიანი თვალები. მგლის ლეკვივით გვიყურებდა. თავი ამოვყათ ტანკიდან, დგანან ჩეჩენი ბავშვები და თვალს არ გვაშორებენ. სამნი იყვნენ, ერთი თორმეტი - ცამეტი წლის იქნებოდა, მეორე უფრო პატარა, მესამე სულ პატარა, ალბათ ხუთი - ექვსი წლისა. გვიყურებდნენ და ისეთი ზიზღი ჰქონდათ თვალებში, ვერც გადმოსცემ. თითქოს ბავშვობასთან არაფერი აკავშირებდათ. ჯერ უფროსი ბიჭი შეტრიალდა და თვალს მიეფარა, მერე შუათანა ასაკისა, ყველაზე პატარა მგლის ლეკვი კი იდგა და ფეხს არ იცვლიდა, გვაკვირდებოდა, თითქოს ჩვენი სახე კარგად უნოდა, რომ დაემახსოვრებინა.“<sup>58</sup> მგელი კავკასიურ ზეპირსიტყვიერებაში უშიშროებისა და მეზომლობის სიმბოლოა, ეს კარგად უწყის გიორგი სოსიაშვილმა. ამოტომ მოიხსენიებს ჩეჩენ ბავშვებს მგლებად, ამიტომაც, რომ ქართულ ხალხურ ლექსშიც ქართველი ყრმა ვაჟებიც მგლებად იხსენიებიან: „კიდევაც დაიზღებინა ალგეთს ლეკვები მგლისანი“. მექა ხანგომვილის

<sup>58</sup> გ.სოსიაშვილი . „გოდების კედელი“.რომანი ორ წიგნად,წიგნი I.თბილისი 2019,გვ 343-344.

სტატიაში - „მგლის ფენომენი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებასა და კავკასიის რეალობაში“ საუბრობს რა მგელზე, აღნიშნავს: „ ჩეჩნურ და ინგუშურ ფოლკლორში იგი, თვისუფლების, გაუტეხლობის, სიმამაცის, მამულის ერთგულებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის სიმბოლოა, დადესტნურში - სიმტკიცისა და ოჯახის ერთგულების, ხოლო ჩერქეზულში - სიძლიერისა და ა.შ. თვისუფლების მოყვარე კავკასიელებმა იმთავითვე შეიყვარეს ეს ეგზოტიკური მხეცი და ბევრი მისი თვისება საკუთარ თავში ამოიცნეს. მგლისადმი განსაკუთრებული სიყვარულითა და სიმპათიებით კი ვაინახები (ჩეჩნები, ინგუშები, ქისტები) და ქართველები გამოირჩევიან კავკასიაში, მათი ტოტემიც ხომ უხსოვარი დროიდან სწორედ მგელი იყო და დღემდე არ განელებულა მგლისადმი ინტერესი, სიმპატია და სიყვარული ამ ორი მოძმე ერების მხრიდან, რისი ნათელი დადასტურებაც არის ის ფაქტი, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის სიმბოლო-ემბლემა არის მგელი და „ბერძალომ ლარბო ჰხომე დაიმოხქ“ (მგლები იცავენ ჩვენს სამშობლოს)“. როგორც ამ ყველაფრის მიხედვით ჩანს, რომანისეული სიმბოლურ-ალეგორიული გააზრება მგლის ფენომენისა ერთნაირად მისაღებია კავკასიური ეთნოსებისთვის და, ეს ერთი შეხედვით, თითქოს ნაკლებადმნიშვნელოვანი ფაქტი, უთუოდ მნიშვნელოვან იდენტურობას გამოჰკვეთს, რის მიღმაც ასევე, დიდი საერთო ისტორია იგულისხმება, რომელიც შემდგომში კულტურაში ჰპოვებს გამოვლინებას.

წინამდებარე პარაგრაფში განვითარებული მსჯელობა, ვფიქრობთ, ვერ იქნება დამაკმაყოფილებელიც კი, თუ რამდენიმე წინადადებით მაინ არ გავიხსენებთ იმ მხატვრულ ტექსტებს, რომლებშიც ქართულ-ჩეჩნური ურთიერთობებია ასახული და რომელი ნაწარმოებებიც, ამ კუთხით მჭიდროდ ენათესავებიან რომან „გოდების კედელს“. პირველ ყოვლისა, უნდა გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, სადაც ასახულია ქისტებისა და ქართველების ურთიერთობის ორივე მხარე, ერთი დაპირისპირება - რაც ეთნიკურ-გეოგრაფიული გარდაუვალობაა იმ ეპოქისათვის, რომელსაც ვაჟას პოემები ასახავენ და მეორე -ურთიერთპატივისცემა, თუნდაც მწვავე მტრობის ფონზე. რაც ყველაზე საინტერესოა, ამ ყოველივეს ორივე მხრიდან წარმოადგენს გენიალური მწერალი; თუ „ალუდა ქეთელაურის“ სიუჟეტში ქართველი

გამოხატავს ქისტის ვაჟკაცობისადმი უკიდურეს პატივისცემას, მოსისხლეობის მიუხედავად, „სტუმარ-მასპინძელში“ პირიქით, ქისტი დგება ქართველი მოსისხლის ვაჟ-კაცობისადმი პატივისცემის დაცვის სადარაჯოზე. აქ შეიძლება ვიკამათოთ, რომ იგი ადათს იცავს მასპინძლობის წესისა, თუმცა ფაქტია, რომ ამ ადათის დაცვას არ იღებს არგუმენტად მისივე თემი; შესაბამისად, ზვიადაურის ვაჟ-კაცური დახვედრა მტრებთან ჯოყოლას მოტივატორადაც უნდა მივიჩნიოთ. რას გვეუბნება ამით ვაჟა-ფშაველა? ცალსახად იმას რომ, ქისტებს და ქართველებს ვაჟ-კაცობის, ღირსების, ტრადიციების მსგავსი საზომები აქვთ და ისინი სულიერად მონათესავენი არიან როგორი მიჯნაც არ უნდა იყოს მათ შორის დადებული. თავად მწერლისთვისაც, სწორედ იმიტომაა ქისტები სახე განსაკუთრებით თანასწორი მტრობაშიც და ძმობაშიც, რომ იგი მათ თანასწორ ვაჟ-კაცებად მიიჩნევს, რაც იმ ისტორიულ თანაცხოვრებაზე დაყრდნობილ დასკვნებს ეფუძნება, რის თაობაზეც დიდმა მწერალმა შესანიშნავად უწყის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ვაჟა-ფშაველამ მხოლოდ ლიტერატურული მემკვიდრეობა არ დაგვიტოვა, იგი ავტორია მეტად საყურადღებო ნარკვევისა „ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო წესები“. (ვაჟა - ფშაველა ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო წესები. 1888, სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა წყნ.ლიბრარი.ცოურტ.გე) რაც ცალსახა დადასტურებაა იმისა, რომ მწერალს მეცნიერულ დონეზე შეუსწავლია საკითხი და ისე გადაუტანია შემოქმედებაშიც.

კიდევ უფრო შორს მიდის ალექსანდრე ყაზბეგი და კონკრეტულ ეპოქაში, შამილის თაოსნობით, ჩეჩნების პარტიზანული ბრძოლას გაცილებით მაღალ შეფასებას აძლევს, ვიდრე ქართველების ქმედებას იმავე ეპოქაში, რითაც, ბუნებრივია, მწერალი ცდილობს მტკივნეულ ადგილზე დაწოლას ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის პროცესში გამოფხიზლების მოწოდების ნიშნად (რამაც შედეგი მოგვიანებით ნამდვილად გამოიღო). თუმცა, რომანში „მამის მკვლეელი“, ალექსანდრე ყაზბეგის მიერ, სრულიად შეუნიღბავად და პირდაპირ გამოთქმული ქება ჩეჩნების ვაჟკაცობისადმი, გამოავლენს მწერლის ფრიად მაღალ წარმოდგენას და მისი რომანის მთავარი გმირების ჩართვაც შამილის მიერ

წარმოებულ განმანათავისუფლებელ ბრძოლაში, ჩვენი აზრით, სხვა არაფერია თუ არა იდენტურობის ძიება და ერთიანი კავკასიის იდეის ყაზბეგისეული გააზრება.

ამ მხრივ საინტერესოა ასევე, გიორგი გობეჩიას „თავისუფალი არწივი“, სადაც მწერალი საუბრობს ჩეჩნების ხასიათის თვისებებზე, რომ ისინი ძალიან ამაყები და მამაცები არიან, თავის ტოლად და სწორად არავის მიიჩნევენ გარდა ჩერქეზებისა და ქართველებისა. ეს სიყვარული კი, მწერლის შეფასებით, იმთავითვეა ჩანერგილი თაობების მიერ. „გოდების კედელშიც“ ვხვდებით ასეთ ეპიზოდს, როდესაც ჩეჩენი ჯარაფი პირველად ხვდება საქართველოს ტერიტორიაზე ბაქართან, ის ამბობს, რომ ქართველების სიყვარული მას თავისმა გამზრდელმა ბიძამ ხასომ ჩაუნერგა.

„თავისუფალ არწივში“ აღწერილია როგორ უტეხად, როგორ დაუჩოქებლად დგას რუსი ოფიცრის წინ ჩეჩენი მაგომედოვი. მას ოდნავადაც არ უჩნდება სიკვდილის შიში, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ესმის რაც მოელის მისი დაუმორჩილებლობის გამო. ნაწარმოების ბოლოს კი ორი რუსი ასეთ სიტყვებს ამბობს: - იმას ვიტყვი, იგორ პეტროვიჩ, რომ ეხლა ვხვდები, რა სწორად მსჯელობდა იოსებ ბესარიონოვიჩი, როცა ამბობდა... „ამ ხალხის აღზრდას აზრი არა აქვს. ისინი უბრალოდ უნდა განადგურდნენ!“. „გოდების კედელშიც“ არაერთ ეპიზოდშია მკაფიოდ ასახული ჩეჩენი ხალხის სიმტკიცე და ბრძოლისუნარიანობა.

ამავე კონტექსტში, ასევე, გვინდა გავიხსენოთ შოთა არაბულის „მტრების წუთისოფელი“, სადაც, ასევე, ის მოსაზრებაა მკვეთრად გახმოვანებული, რომელიც გოდების კედლის ავტორის საწუხარსაც წარმოადგენს: ერთმანეთის მტრობით, სისხლის ღვრით, ბოლოს მაინც ყველა მხარე დაზარალებულია, ყველა კარგავს რაღაც უმნიშვნელოვანესს, ზოგი მიწას, ზოგი საყვარელ ადამიანებს, ზოგი ჯანმრთელობას და ა.შ. ნაწარმოების სიუჟეტი ქართველებისა და ქისტების შესახებაა, თუმცა ზემოთ აღნიშნული ავტორისეული ხედვა ფორმულასავით ერგება ოსებსაც და აფხაზებსაც.

## დასკვნა

ამრიგად, ჩვენ მიმოვიხილეთ თანამედროვე ქართულ რომანში ასახული, ქართულ-რუსული კონფლიქტის მაშსტაბური თვალსაწიერი, რაც წარმოაჩენს, რომ ქართულ სახელმწიფოზე შეიარაღებული თუ შეუიარაღებელი იერიში კიდევ უფრო დიდი და ვერაგული გეგმის მხოლოდ ნაწილია, ხოლო მტრის სრული გეგმა მთელი კავკასიის მიტაცებას მოიცავს, რის ხელის შეშლაც ამ გეგმის სწორი და გონივრული ანალიზითა და გაშიფვრით არის შესაძლებელი. მწერალი გიორგი სოსიაშვილი აბსოლუტურად ზუსტად გაიაზრებს ამ მოცემულობას და უაღრესად საინტერესოდ წარმოაჩენს საკუთარ რომანში. შესაბამისად, შევეცადეთ, დაკვირვებით ამოგვეკითხა ავტორის მხრიდან შემოთავაზებული უმთავრესი აქცენტები. ჩავძიებოდით ქვეტექსტებსა და კონტექსტებს, მიგვეგნო სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატებისათვის და ამ გზით წარმოგვედგინა კომპლექსური ნაშრომი თემაზე - „ერთიანი კავკასიის იდეა - გიორგი სოსიაშვილის რომანში „გოდების კედელი“.

ჩვენი კვლევასათვის, იმთავითვე, რამდენიმე ძირითად მიზანს ვისახავდით შესასრულებლად, გვსურდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო პროცესი შეგვევსო მიმდინარე ლიტერატურის საკითხებზე წარმოებული კვლევით, ამავდროულად, ჩვენს მიზანს წარმოადგენდა ერთი მწერლის ერთი რომანის საფუძვლიანი კვლევა და რომანში ასახული თანამედროვე, ფართო მასშტაბიანი გამოწვევების ლიტერატურული რეფლექსიის გამოკვეთა და გაანალიზება;

ვფიქრობთ, დასახულ ამოცანებს თავი ძირითად შემთხვევებში უთუოდ გავართვით და ამდენად, მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევა მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ქართული ლიტერატურის ისტორიის ფარგლებში, არამედ მისი მნიშვნელობა სცილდება საქართველოს საზღვრებს და მინიმუმ კავკასიის ხალხთა კულტურულ-ისტორიულ-ლიტერატურულ ინტერესებშიც მოიაზრება. რა თქმა უნდა, ჩვენ არ და ვერ გვექნება პრეტენზია, რომ საკვლევი პრობლემა სრულიად და ამომწურავად შევისწავლეთ, თუმცაღა, მივიჩნევთ, რომ არც



თუ უმნიშვნელო წვლილი შევიტანეთ ამ მეტად მასშტაბური საკითხისა და საინტერესო თანამედროვე მწერლის შემოქმედების კვლევის საქმეში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ალიმზარაშვილი იოსებ (სოსო) საქართველო - კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან (უძვ. პერიოდიდან - XIX ს. 60 - იან წლებამდე). გორის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტი. გამომცემლობა „საარი“, თბილისი 2014, გვ 25.26.31.218.
2. ბრეგვაძე ლ. კავკასიური თამატიკა გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის“ ფურცლებზე (1806 – 1814), დისერტაცია წარმოდგენილი ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 2014.
3. გვასალია ჯ. არაგვის კარი (დარიალანი, კრებულში: „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, თბილისი 1976.
4. ვაჟა - ფშაველა ფშაველების ძველი სამართალი და საოჯახო წესები. 1888, სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა წწწ.ლიბრარი.ცოურტ.გე
5. ზნეობრივი ღირებულებათა მენტალური მახასიათებლები კავკასიის ხალხთა ტრადიციულ ურთიერთობებში, კრებულში: „ისტორიული რეპრეზენტაცია: თეორიული მინიმართულებანი და კონკრეტული კვლევები“, აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 80 - ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კომფერენციის მასალები, თბ, 2014

6. თოფჩიშვილი როლანდ. კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია, ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა, თბილისი, 2007 კავკასიის ხალხთა ფოლკლორი, ნაირა გელაშვილის რედ. თბილისი.2008, გვ 5-6.7.38-39.
- 7.სოსიაშვილი გ. „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად ,წიგნი I,გამომცემლობა „უნივერსალი “,თბილისი 2019. გვ 5.8.11.28.40.42-43.45.46.77-78.78.79.80.87.89.92.143-144.289-290.292.299.304-305.334-335.338.343-344.372-373.
- 8.სოსიაშვილი გ. „გოდების კედელი“, რომანი ორ წიგნად ,წიგნი II,გამომცემლობა „უნივერსალი “,თბილისი 2019.გვ 5.14-15.17.47-48.97.161.194.263.264.270.272.307-308.342.351.354.373.411.414.415.
- 9.სიგუა ს. ,, ჩვენი ცხოვრების სურათები“, „მწერლის გაზეთი“ #5, 2016 წ.
10. ქიქოძე გ. წერილები ესეები ნარკვევები, „მერანი“, თბილისი - 1985; 38
11. ცერცვაძე მ . ახალი ადამიანი, გამომცემლობა„საარი“,2012 წ.
12. ხანგოშვილი მ. ,,მგლის ფენომენი გოდერძი ჩოხელის შემოქმედებასა და კავკასიის რეალობაში“; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,გოდერძი ჩოხელი \_ შემოქმედება საზღვრებს გარეშე“, სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი, 2012 წ. გვ. 68-75.
13. ხორბალაძე გ. მავთულხლართის ორი მხარე თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში (გიორგი სოსიაშვილის ორი მოთხრობის მიხედვით), ჟურნალი„გულანი“, №17/2015, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ახალციხე, საქართველო.გვ 210.
14. ხორბალაძე გ. ადამიანური განცდები ომისა და ოკუპაციის პირობებში, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ერთიან კონტექსტში გააზრებით (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, პირველი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ისტორია, ხელოვნება, ლიტერატურა და კულტურა შავი ზღვის რეგიონსა და სამხრეთ კავკასიაში“ , თბილისი, 2017 წ.;
15. ხორბალაძე გ. რაკურსი (ლიტერატურული ნარკვევები)-თბილისი 2018. გვ122.

16. ხორბალაძე გ. იძულებითი და ბუნებრივი ურთიერთობის ნიუანსები ხელოვნური კონფლიქტის პირობებში (გიორგი სოსიაშვილის ორი მოთხრობის - „ხეფას ბიჭი“ და „ზღვა და ალუბლები“ - მიხედვით). VI საერთაშორისო კონფერენცია „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები“. 13-15 ოქტომბერი. თბილისი 2020, გვ 431-437.
17. Алексаидр Русецкий, Ольга Дорохина. Архипелаг Кавказ – мифи и реал – политик, Тб., 2009. გვ 15.